

**'Internationale Abrechnungsstandards für die Nichtregierungsorganisationen'**

**Auflage:** 1. 000  
**Verfasser:** Internationale Assoziation 'Neuigkeiten, Informationsservice'  
**Seitenzahl:** 100  
**Sprache:** Georgisch  
**Originaltitel:** 'Saertaschoriso sabugaltro agrizchwa arasamtavrobo organisaciebisatvis

გუგალოტრული ადრიცხვის  
საერთაშორისო სტანდარტები  
არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

A01 - 02209

თბილისი  
2000



პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ:

ნინო პავლიაშვილი	პროექტის დირექტორი
ვასილ ბერიშვილი	პროექტის ავტორი
ირაკლი თოლორდავა	
გიორგი კახეთელიძე	
ეკა ჭეიშვილი	
თემურ ფაღავე	
სოფო ხარჩილავა	

მასალა მომზადებულია ავტორთა ჯგუფის მიერ:

ვასილ ბერიშვილი
ირაკლი თოლორდავა
გიორგი კახეთელიძე

ბროშურა "ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის" საცნობარო ხასიათისაა. მასზე დაყრდნობა და მისით ოპერირება სამართლებრივ სიტუაციებში არ შეიძლება. ასეთ ან მსგავს შემთხვევებში, გამომცემელი და დონორი ორგანიზაციები პასუხს არ აგებენ ბროშურის მომხმარებლის ან მესამე პირის წინაშე.

## სარჩევი

წინასიტყვაობა	1
ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) ზოგადი მიმოხილვა	2
მიღებული გრანტების აღრიცხვა	7
ანგარიშსწორება პერსონალთან და ბიუჯეტთან	15
მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა	18
ფულადი სახსრების აღრიცხვა	28
სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა	34
მოთხოვნები და ვალდებულებები	40
ფინანსური უწყისები	44
ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა	52
დანართები	67

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ბროშურა პირველი მცდელობაა საქართველოში მიმდინარე ბულალტრული აღრიცხვის რეფორმაში მესამე სექტორის ჩართვისა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) ყველა იმ დებულებისათვის, რომლებიც კომერციულ სტრუქტურებთან ერთად არასამთავრობო (არამომგებიანი) ორგანიზაციებშიც შეიძლება გამოიყენონ. ბროშურაში გადმოცემული მასალები შეძლებისდაგვარად დაკავშირებულია (შედარებულია) დღეისათვის მოქმედ ბულალტრულ პრინციპებთან, რათა მომუშავე ბულალტრებს გაუადვილდეთ ახალი სტანდარტების ათვისება და მათი პრაქტიკაში დანერგვა.

ვიტოვებთ რა იმედს, რომ "ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის" შეასრულებს დასახულ მიზანს, დიდ მადლობას ვუხდით "ფრიდრიხ ებერტის ფონდს", რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც მოხდა ბროშურის გამოცემა. ასევე მადლობას ვუხდით პროექტის ავტორს ბატონ ვასილ ბერიშვილს განუყოფელი საქმიანობისთვის, ბატონებს ირაკლი თოლორდავას და გიორგი კახეთელიძეს დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ბროშურამ მკითხველთა შორის შეიძლება გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა. ასოციაცია "NIS" დიდი სიამოვნებით მიიღებს ყველა წინადადებას და საქმიან შენიშვნას.

**გულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო  
სტანდარტების (ბასს) ზოგადი  
მიმოხილვა**

- ბასს-ი სამეურნეო ოპერაციების ასახვისას იყენებს დარიცხვის პრინციპს ანუ ოპერაციების ასახვა ხდება მათი განხორციელების თარიღით და არა ფულადი სახსრების გადახდის ან მიღების თარიღით.
- ბასს-ის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა - ორგანიზაციას სამეურნეო ოპერაციების ასახვაში უფრო მეტი თავისუფლება ეძლევა. ბასს-ი უფლებას აძლევს ორგანიზაციას ზოგადი პრინციპი მოარგოს მისი საქმიანობის სპეციფიკას.
- ბასს-ში აღარ არსებობს აქტიურ-პასიური ანგარიშები. ყველა ანგარიში თავისი არსით არის ან აქტიური, ან პასიური (მოგება/ზარალის ანგარიშის გარდა).

**გულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების  
(ბასს) ზოგადი მიმოხილვა**

ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი მიზანი არის სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ინდუსტრიებში მიღებული ბულალტრული პრაქტიკის სინქრონიზაცია, რათა ამ აღრიცხვის საფუძველზე შედგენილი ინფორმაციის მომხმარებელს თავისუფლად შეეძლოს მისი წაკითხვა და ანალიზი. ბასს-ი არის მომხმარებელზე ორიენტირებული, ეს აყალიბებს თითოეული სტანდარტისა თუ დებულების სახეს.

ბასს-ის საფუძველზე შედგენილი ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლები შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაჯგუფდეს:

**შიდა მომხმარებლები** – აღმინისტრაცია და მფლობელები,

**გარე მომხმარებლები** – ინვესტორები, კრედიტორები, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები.

არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში "ინვესტორები და კრედიტორები" დონორი ორგანიზაციებით შეიცვლება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დონორის დაინტერესება ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობით უფრო ნაკლები იქნება ვიდრე ინვესტორებისა და კრედიტორებისა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რეალური ფინანსური მდგომარეობის უგულვებელყოფას.

ქირითაღი მახასიათებლები  
დარიცხვის პრინციპი

ბასს-ი სამეურნეო ოპერაციების ასახვისას იყენებს დარიცხვის პრინციპს ანუ ოპერაციების ასახვა ხდება მათი განხორციელების თარიღით და არა

ფულადი სახსრების გადახდის ან მიღების თარიღით; ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ფულის გასვლა არ მოხდეს, მაგრამ მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებაში ხარჯი მაინც აღიარებული იქნება.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ დარიცხვის პრინციპის გამოყენება არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში მიზანშეუწონელია, რადგან დონორი დაინტერესებულია გამოყოფილი გრანტის რეალური ხარჯვით, რაც შეიძლება არ დაემთხვეს დარიცხულ ხარჯებს. ეს მოსაზრება სავსებით მისაღებია, ვინაიდან ორგანიზაციის საქმიანობის არსიდან გამომდინარე, მის მიერ განუღებ ხარჯებზე ფულის გადახდა უშეტეს შემთხვევაში ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე. მესამე სექტორის მიერ აღრიცხვაში დარიცხვის პრინციპების გამოყენებისას არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს ფულის რეალური ხარჯვის ანგარიშის წარმოდგენაც, ვინაიდან, ამის საშუალებას იძლევა სტანდარტებით გათვალისწინებული "ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი". ანგარიშების ამ ფორმის არსზე და შედგენის მეთოდებზე შემდგომ თავებში გვექნება საუბარი. ამასთან, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია ორგანიზაციის საქმიანობის ხასიათზე. თითოეული ორგანიზაცია მას ინდივიდუალურად წყვეტს.

ბასს-ის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა ამჟამად მოქმედ სტანდარტებთან შედარებით ის არის, რომ იგი ორგანიზაციას სამეურნეო ოპერაციების ასახვაში უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს. ბასს-ში არ არის მოცემული კონკრეტული ანგარიშის დასახელება, ნომერი ან კონკრეტული გატარება, რაც უფლებას აძლევს ორგანიზაციას ზოგადი პრინციპი მორგოს მისი საქმიანობის სპეციფიკას. ამის ერთ-ერთ

მაგალითად გამოვადგება საქართველოში სამოქმედოდ შემოღებული ახალი (ბასს-ის მიხედვით) ანგარიშთა გეგმა (იხ. დანართი 1). გეგმაში ანგარიშები დაყოფილია 3 ძირითად კატეგორიად: *აქტივები, ვალდებულებები, (მფლობელთა) კაპიტალი*. თავის მხრივ აქტივები და ვალდებულებები კიდევ ორ-ორ ქვეკატეგორიად იყოფა: მიმდინარე და გრძელვადიანი. თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს ნომერი (დასავლეთის ქვეყნებში არ არსებობს ანგარიშების გადანომრვის ერთიანი სისტემა მთელი ქვეყნისათვის) და ნებისმიერი ახალი ანგარიში, რომლის დამატებასაც გადაწყვეტს ორგანიზაცია შესაბამის კატეგორიის ნომრით უნდა იწყებოდეს.

#### *მაგალითი:*

დანართი 1-ში წარმოდგენილი ანგარიშთა გეგმის 7 000 სექციაში ნაჩვენებია ხარჯების ანგარიშები. ეს ანგარიშები შეძლებისდაგვარად სრულად გამოხატავს ხარჯების ყველა კატეგორიას, მაგრამ ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება გაჩნდეს გარკვეული ტიპის ხარჯების (მაგალითად საბაჟო ხარჯების) ცალკე აღრიცხვის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია შესაბამის კატეგორიაში (მაგალითად 7 310-სა და 7 320-ს შორის) გავხსნათ ახალი ანგარიში "საბაჟო ხარჯები" და მივანიჭოთ სასურველი ნომერი 7 315.

ამრიგად, საწარმოს (ორგანიზაციას) შეუძლია გახსნას ნებისმიერი ახალი ანგარიში შესაბამის კატეგორიაში, რომელიც მისი საქმიანობის სპეციფიკას შეესაბამება, ანუ აღარ არსებობს სუბანგარიშების არსებობის აუცილებლობა. თითოეული ხარჯი, შემოსავალი, მოთხოვნა თუ ვალდებულება, რომელსაც ორგანიზაცია მიიჩნევს საჭიროდ, შეიძლება ცალკე ძირითად ანგარიშებზე აღირიცხოს.

ბასს-ის კიდევ ერთი სიახლე არის ის, რომ აღარ არსებობს აქტიურ-

პასიური ანგარიშები. ყველა ანგარიში თავისი არსით არის აქტიური ან პასიური (მოგება/ზარალის ანგარიშის გარდა). მაგალითად ადრე მოქმედი 76-ე ანგარიში (სხვადასხვა დებიტორ-კრედიტორები) გაყოფილია 2 სხვადასხვა ანგარიშად, სადებეტო ნაწილი - მოთხოვნებად (დებიტორები) და საკრედიტო ნაწილი - ვალდებულებებად (კრედიტორები). თითოეული ამ ანგარიშის ნაშთი აღირიცხება ბალანსის ცალკე პოზიციაზე. ბასს-ის ანგარიშთა სტრუქტურამ ასევე დაამკვიდრა "კონტრანგარიშის" ცნება. კონტრანგარიშის ერთ-ერთი მაგალითია ანგარიში "ძირითადი საშუალებების ცვეთა" (იხ. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა). მას საკრედიტო ნაშთი გააჩნია, მაგრამ, რადგან იგი "ძირითადი საშუალებების" კონტრანგარიშია, მიეთითება ბალანსის აქტივის ნაწილში და აკლდება შესაბამის ჯამს.\*

როგორც უკვე აღინიშნა და მაგალითებშიც გამოჩნდა ბასს-ი აღრიცხვის უფრო მეტ თავისუფლებას იძლევა, მაგრამ, რა თქმა უნდა გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. ბასს-ის ამ და სხვა თავისებურებების შესახებ გვექნება საუბარი ბროშურის დარჩენილ ნაწილში.

\* ტექსტი გამოყენებული ანგარიშის ნომრები და დასახელებები ატარებს რეკომენდაციის ხასიათს და ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვა ანგარიშები საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

## მიღებული გრანტების აღრიცხვა

- არასამთავრობო ორგანიზაციებში მიღებული სახსრების აღრიცხვისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ბასს-ის მე-20 სტანდარტი.
- არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტის ბიუჯეტის ათვისების აღრიცხვისათვის თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ანგარიშთა გეგმის განყოფილებაში "არასამეწარმეო შემოსავლები და ხარჯები" კათვალის-წინებული ანგარიში "სხვა არასამეწარმეო ხარჯები".

**მიღებული გრანტების აღრიცხვა**

საბუღალტრო აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებით გათვალისწინებულია სანარმოების მიერ მხოლოდ სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი დაფინანსებების აღრიცხვის საკითხები. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული გრანტები და მიზნობრივი დაფინანსებები თავისი ეკონომიკური არსით მსგავს დაფინანსებებს წარმოადგენენ, იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ ჩვენს შემთხვევაში თანხებს გამოყოფს საზოგადოებრივი ფონდი ან ორგანიზაცია. ამიტომ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციებს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზებისას თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ ბასს-ის სტანდარტები.

არასამთავრობო ორგანიზაციებში მიღებული სახსრების აღრიცხვისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ბასს-ის მე-20 სტანდარტი. ბასს-ის ამ სტანდარტის მიხედვით გრანტის მიღების აღსარიცხავად უნდა გამოვიყენოთ ანგარიშთა გეგმის განყოფილების "საკუთარი კაპიტალი" ანგარიში "მიზნობრივი დაფინანსება". გრანტის გამოყოფის შესახებ სათანადო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ ორგანიზაციის ბუღალტერიაში გრანტის გამოყოფას ეძლევა გატარება:

დებატი – "სხვა დარიცხული მოთხოვნები"  
კრედიტი – "მიზნობრივი დაფინანსება"

როცა გრანტით გათვალისწინებული დაფინანსება ფიზიკურად შემოდის ორგანიზაციაში მას ავსახავთ "სხვა დარიცხული მოთხოვნები" ანგარიშის კრედიტში "ფულადი სახსრები", "ძირითადი საშუალებების", ან

"სასაქონლო-მატერიალური მარაგების" (იმისდა მიხედვით თუ რა სახით გვაქვს დაფინანსება მიღებული) ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

**მაგალითი:**

"უპატრონო ბავშვთა დახმარების კავშირისათვის" პროექტის განსახორციელებლად გამოიყო 122 045 ლარი გრანტის სახით. დონორმა ორგანიზაციამ აღნიშნული ბიუჯეტი დაფინანსა შემდეგნაირად: გამოგზავნა 20 000 ლარის ლირებულების მატერიალური ფასეულობები, აქედან 5 000 ლარის ძირითადი საშუალებები, ხოლო 15 000 ლარის ტანსაცმელი და სხვა ინვენტარი. 102 045 ლარი გადმორიცხა ფულადი სახით კავშირის ანგარიშსწორების ანგარიშზე. ამ ოპერაციის ასახვა კავშირის ბუღალტრულ აღრიცხვაში მოხდება შემდეგი გატარებით: ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე

დებატი – "სხვა დარიცხული მოთხოვნები" 122 045  
კრედიტი – "მიზნობრივი დაფინანსება" 122 045

ხოლო შემდეგ კი,

დებატი – "ფულადი სახსრები" 102 045  
დებატი – "ძირითადი საშუალებები" 5 000  
დებატი – "მატერიალური მარაგები" 15 000  
კრედიტი – "სხვა დარიცხული მოთხოვნები" 122 045

გრანტის მიღების საბუღალტრო აღრიცხვაში ასახვის შემდეგ დგება მისი ათვისების ბუღალტრული ასახვის საკითხი. ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაცია თავისი არსით წარმოადგენს არასამეწარმეო ორგანიზაციას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი შემოსავლის წყაროები, დონორი

ორგანიზაცია, ხშირ შემთხვევებში, მას გრანტს გამოუყოფს ძირითადი პროექტის და ამ პროექტის შემსრულებელთა ანაზღაურების დასაფინანსებლად. ამიტომ ბიუჯეტის ათვისების აღრიცხვა უნდა განვიხილოთ ორ ძირითად ასპექტში: არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტის ბიუჯეტის აღრიცხვა და არასამთავრობო ორგანიზაციის პერსონალის ანაზღაურების აღრიცხვა.

არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარ პროექტებს უსასყიდლოდ, ყოველგვარი ეკონომიკური დაინტერესების გარეშე ახორციელებენ. ამგვარი საქმიანობა ითვლება არასამენარმეო საქმიანობად. სწორედ ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტის ბიუჯეტის ათვისების აღრიცხვისათვის თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ანგარიშთა გეგმის განყოფილებაში "არასამენარმეო შემოსავლები და ხარჯები" გათვალისწინებული ანგარიში "სხვა არასამენარმეო ხარჯები"

პროექტის ძირითადი საპროგრამო მიზნებისთვის სახსრების გამოყოფა და ხარჯვა წლის განმავლობაში აღირიცხება "სხვა არასამენარმეო ხარჯების" ანგარიშის დებეტში, შესაბამისი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით, ასეთი ანგარიშები შეიძლება იყოს "ფულადი სახსრები", "სასაქონლო მატერიალური მარაგები", "მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები".

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ორგანიზაცია თავის საპროგრამო ხარჯებს ეწევა მატერიალურ ფასეულობათა გაცემით, ამგვარი ოპერაციების აღრიცხვა განხილულია თავში "მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა".

### მაგალითი:

"უპატრონო ბავშვთა დახმარების კავშირმა" თავისი საპროგრამო მიზნების განსახორციელებლად იქირავა ბინა ბავშვების განთავსებისთვის წელიწადში 1 500 ლარად. იანვრის თვეში ბინის ქირა გადახდილი იქნა 125 ლარი, კვებაზე დაიხარჯა 7 500 ლარი, მასწავლებლების დასაქირავებლად გადახდილია 450 ლარი, პოლიკლინიკაში სამედიცინო მომსახურებისათვის – 500 ლარი, გასართობ პროგრამებზე – 800 ლარი. აღნიშნული დანახარჯები უნდა აისახოს "სხვა არასამენარმეო ხარჯების" ანგარიშის (ან სხვა ინდივიდუალური) დებეტში მუხლობრივად, სათანადო ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით:

დებიტი – "სხვა არასამენარმეო ხარჯები" (იჯარის ქირა)	125
დებიტი – "სხვა არასამენარმეო ხარჯები" (კვება)	7 500
დებიტი – "სხვა არასამენარმეო ხარჯები" (ტანსაცმელი)	2 000
დებიტი – "სხვა არასამენარმეო ხარჯები" (მასწავლებლები)	450
დებიტი – "სხვა არასამენარმეო ხარჯები" (მედიცინა)	500
დებიტი – "სხვა არასამენარმეო ხარჯები" (გართობა)	800
კრედიტი – "ფულადი სახსრები"	9 375
კრედიტი – "სასაქონლო მატერიალური მარაგები"	2 000

საანგარიშო პერიოდის დასრულებისას პროექტის ბიუჯეტის ათვისება ჩამოინერება "სხვა არასამენარმეო ხარჯების" ანგარიშის კრედიტიდან "მიზნობრივი დაფინანსების" ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით და აისახება გატარებით:

დებიტი – "მიზნობრივი დაფინანსება"	11 375
კრედიტი – "სხვა არასამენარმეო ხარჯები"	11 375



ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის დასახული პროექტის შესასრულ-  
 ლებლად გააჩნია მომსახურე პერსონალის გარკვეული რაოდენობა,  
 რომლებიც თავიანთი შრომით ხელს უწყობენ აღნიშნული პროგრამის  
 შესრულებას. ორგანიზაციის ოფისის მუშაობისთვის აუცილებელია  
 სხვადასხვა საორგანიზაციო ხარჯები, ყველა ამ ხარჯის დაფინანსება  
 გათვალისწინებულია დონორ ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ გრანტში,  
 ამიტომ გრანტის სახით გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსების ათვი-  
 სების აღრიცხვისას აუცილებელია გაიმიჯნოს ორგანიზაციის მომსახურე  
 პერსონალის შენახვისა და საორგანიზაციო ხარჯების აღრიცხვა.

თუ ზოგადად განვიხილავთ ორგანიზაციის ოფისის ხარჯებს იგი შეიძლება  
 დავყოთ შემდეგნაირად:

- ა) მომსახურე პერსონალის ხელფასი დანარიცხებით,
- ბ) სამსახურებრივი მივლინების ხარჯები,
- გ) საკანცელარიო ხარჯები,
- დ) კავშირგაბმულობის ხარჯები,
- ე) სხვა ხარჯები.

თუმცა სხვადასხვა ორგანიზაციის ოფისის შეიძლება ჰქონდეს დამატებით,  
 მისი მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე, სპეციფიური ხარჯები.

როგორავსახოთ ორგანიზაციის ოფისის შენახვის ხარჯები ბუღალტრულად?  
 რადგან არასამთავრობო ორგანიზაცია, არ წარმოადგენს სამწარმოო  
 სუბიექტს, მისი ოფისის ხარჯების აღსარიცხავად უნდა გამოვიყენოთ  
 ბუღალტრული სტანდარტებით გათვალისწინებული ანგარიშთა გეგმის  
 განყოფილება "საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები", რომელშიც  
 მუხლობრივად არის მოცემული ანგარიშები ხარჯების სახეების  
 მიხედვით. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ თითოეული ზემოთ  
 დასახელებული ხარჯის ბუღალტრული გატარებები:

ინანგრიის თვეში ორგანიზაციის ოფისში პერსონალის ხელფასი განი-  
 საზღვრა 850 ლარის ოდენობით, რომელსაც დაერიცხა სამედიცინო  
 გადასახადი 3% -ის ოდენობით - 25,50 ლარი. (საქართველოს საგადასა-  
 ხადო კანონმდებლობით გრანტებიდან გაცემულ ხელფასს სოციალური  
 გადასახადები არ ერიცხება) აღნიშნული ოპერაციები აისახება შემდეგი  
 ბუღალტრული გატარებებით:

1. ხელფასის დარიცხვა:	
დებაჟი - "შრომის ანაზღაურება"	850
კრედიტი - "გადასახდელი ხელფასი"	850

2. სამედიცინო გადასახადის დარიცხვა:	
დებაჟი - "სოციალური დანარიცხები"	25,50
კრედიტი - "სოციალური გადასახადი"	25,50

ამავე თვეში განუღიო იქნა საკანცელარიო ხარჯი 120 ლარის ოდენობით,  
 სამივლინებო ხარჯი 50 ლარის ოდენობით, ორივე ეს ხარჯი აისახება "სხვა  
 ხარჯების" ანგარიშის დებეტში, მაგრამ სურათის უფრო ნათლად  
 წარმოდგენისათვის ბუღალტრის შეუძლია გაუხსნას სამივლინებო და  
 საკანცელარიო ხარჯებს ცალ-ცალკე ანგარიშები. საერთო, საბოლოო  
 ბრუნვაში ეს ხარჯები აისახება შემდეგნაირად:

დებაჟი - "სხვა ხარჯები"	170
კრედიტი - "ვალდებულებები პერსონალის წინაშე"	170

სატელეფონო და საფოსტო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 270  
 ლარი რაც აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებაჟი - "კომუნიკაციის ხარჯები"	270
კრედიტი - "მონოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები"	270

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ოფისის შენახვის ხარჯები ჩამოინერება  
“მიზნობრივი დაფინანსების” ანგარიშის დებუტიდან ხარჯების ანგარიშების  
კრედიტთან კორესპონდენციით და ბუღალტრულად მიიღებს შემდეგ  
სახეს:

ღებავიტი – “მიზნობრივი დაფინანსება”	1 315,5
კრედიტი – “შრომის ანაზღაურება”	850
კრედიტი – “სოციალური ანარიცხები, ჯანდაცვის ფონდი”	25,5
კრედიტი – “სხვა ხარჯები”	170
კრედიტი – “კომუნიკაციის ხარჯები”	270

## ანგარიშსწორება პერსონალთან და ბიუჯეტთან

- ორგანიზაციაში მომსახურე პერსონალთან ანგარიშსწორება აღირიცხება ანგარიშთა გეგმის განყოფილების “მოკლევადიანი ვალდებულებები” ანგარიშზე “გადასახდელი ხელფასები”.
- დონორის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციას ბიუჯეტის წინაშე უშუალო ვალდებულება წარმოექმნება მხოლოდ სამედიცინო გადასახადის სახით.

**ანგარიშსწორება პერსონალთან და გიუჯეტთან**

ორგანიზაციაში მომსახურე პერსონალთან ანგარიშსწორება აღირიცხება ანგარიშთა გეგმის განყოფილების "მოკლევადიანი ვალდებულებები" ანგარიშზე "გადასახდელი ხელფასები". აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება ორგანიზაციის ვალდებულება პერსონალისადმი გასაცემი ხელფასებით, ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადის და სხვა გადასახადების დაკავება, ხელფასის გაცემა.

ორგანიზაციის მიერ პერსონალზე ხელფასის დარიცხვა აისახება "შრომის ანაზღაურების" ანგარიშის დებეტში "გადასახდელი ხელფასების" ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით. მიუხედავად იმისა, რომ გრანტი საქართველოს კანონმდებლობით სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით, ეს შეღავათები არ ეხება ორგანიზაციაში მომსახურე პერსონალს. ამიტომ პერსონალზე ხელფასის დარიცხვისას მათ უნდა დაუკავდეთ: საშემოსავლო გადასახადები, 1%-იანი ანარიცხები საპენსიო და ჯანდაცვის ფონდებში. აღნიშნული გადასახადების დაკავება ბუღალტრულ აღრიცხვაში "გადასახდელი ხელფასების" ანგარიშის დებეტში, "გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის" და "სოციალური გადასახადების" ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით ხდება. განვიხილოთ აღნიშნული ოპერაციები კონკრეტულ მაგალითზე:

ორგანიზაციამ დაარიცხა იანვრის თვეში ხელფასი 850 ლარი, დააკავა საშემოსავლო გადასახადი 97 ლარი, საპენსიო 8,5 ლარი და ჯანდაცვის 8,5 ლარი. აღნიშნულ ოპერაციებს ორგანიზაციის ბუღალტერიაში მიეცემა შემდეგი გატარებები:

ა) ხელფასის დარიცხვა:

დებიტი – "შრომის ანაზღაურება"	850
კრედიტი – "გადასახდელი ხელფასები"	850

ბ) ხელფასიდან დაკავებები:

დებიტი – "გადასახდელი ხელფასები"	114
კრედიტი – "გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი"	97
კრედიტი – "სოციალური გადასახადები საპენსიო ფონდი"	8,5
კრედიტი – "სოციალური გადასახადები ჯანდაცვის ფონდი"	8,5

და ბოლოს, ხელფასის გაცემას მიეცემა გატარება:

დებიტი – "გადასახდელი ხელფასები"	736
კრედიტი – "ფულადი სახსრები"	736

დონორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციას ბიუჯეტის წინაშე უშუალო ვალდებულება წარმოექმნება მხოლოდ სამედიცინო გადასახადის სახით. ხელფასიდან დაკავებებზე კი ორგანიზაცია გამოდის საგადასახადო აგენტის როლში, იგი ვალდებულია დააკავოს გადასახადები გადახდის ნყაროსთან და გადარიცხოს ისინი ბიუჯეტში. ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ გადასახადების დაკავებისა და დარიცხვის გატარებები, ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბიუჯეტში სოციალური და საშემოსავლო გადასახადების ჩარიცხვა უნდა მოხდეს ხელფასის გაცემის დღეს, ან ერთი დღით ადრე. ბიუჯეტში გადარიცხული გადასახადები ბუღალტერიაში აისახება გატარებით:

დებიტი – "საშემოსავლო გადასახადი"	97
დებიტი – "სოციალური გადასახადები"	42,5
კრედიტი – "ფულადი სახსრები"	139,5

## მატარიალური ფასეულობების აღრიცხვა

- ბასს-ში არ არის ისეთი ცნება როგორცაა “მცირე-ფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები”. ყველა ის ელემენტი, რომელიც ადრე კლასიფიცირდებოდა ამ კატეგორიაში ნაწილდება მიმდინარე ხარჯებზე ან ძირითადი საშუალებების ანგარიშზე.
- ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის, წარმოებისა და მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის, ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.
- აქტივს შეიძლება გააჩნდეს სალიკვიდაციო ღირებულება, რომელსაც ამორტიზაცია არ ერიცხება. სალიკვიდაციო ღირებულება არის რეალური ღირებულება, რომელიც რჩება აქტივს ორგანიზაციის მიერ მისი გამოყენების შემდეგ.
- ბასს-ის მიხედვით დარიცხული ამორტიზაცია არ ჩამოწმდება უშუალოდ აქტივის ღირებულებიდან. იგი აღირიცხება ცალკე ანგარიშზე “აკუმულირებული ცვეთა” და ბალანსში მიეთითება აქტივების შემდეგ.

## მატარიალური ფასეულობების აღრიცხვა

არასამთავრობო ორგანიზაციების ბუღალტრულ აღრიცხვაში მატერიალური ფასეულობები შეიძლება დაიყოს 2 კატეგორიად:

- 1) მასალები;
- 2) ძირითადი საშუალებები\*

მასალები

მასალების აღრიცხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში არ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ სირთულეებთან. უმეტეს შემთხვევებში შეძენილი მასალები (მაგ.: ქაღალდი, კერტიფიკა, ტონერი და სხვა) გამოიყენება ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობაში და შესაბამისად შესაძლებელია მათი პირდაპირ ხარჯების ანგარიშზე აღრიცხვა (მასალების ანგარიშის გაუვლელად).

ღებავი – “. . . ხარჯი”

500

კრედიტი – “ფული”

500

ზემოთ განხილული შემთხვევის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში შეიძლება შევხვდეთ ჰუმანიტარული დახმარების მიღებისა და გაცემის ფაქტებს. ამგვარი ოპერაციების აღრიცხვისათვის ხარჯების ანგარიშის პირდაპირ გამოყენება, რა თქმა უნდა შეუსაბამო იქნება. ამიტომ, მათი აღრიცხვა მოხდება მასალების ანგარიშის გავლით. (ასევე შესაძლებელია შესაბამის კატეგორიაში გაისხნას ახალი ანგარიში “ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ნივთები”).

\* ბასს-ში არ არის ისეთი ცნება როგორცაა “მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები”. ყველა ის ელემენტი, რომელიც ადრე კლასიფიცირდებოდა ამ კატეგორიაში ნაწილდება მიმდინარე ხარჯებზე ან ძირითადი საშუალებების ანგარიშზე

დეპატი – “ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ნივთები” 2 000  
 კრედიტი – “მიზნობრივი დაფინანსება” 2 000

ჰუმანიტარული დახმარების გაცემა აისახება შემდეგი გატარებით:

დეპატი – “სხვა არასამეწარმეო ხარჯები” 1 000  
 (ან სხვა სასურველი ხარჯის ანგარიში)  
 კრედიტი – “ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ნივთები” 1 000

ორგანიზაცია, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, გრანტის ხარჯზე შეიძლება ყიდულობდეს სხვადასხვა სახის პროდუქციას და შემდეგ გასცემდეს უსასყიდლოდ (ჰუმანიტარული დახმარების სახით). გრანტის მიღების აღრიცხვა შესაბამის თავში უკვე განვიხილეთ, ამიტომ აქ მხოლოდ შესყიდვისა და უსასყიდლოდ გადაცემის ოპერაციებს შევხებით.

დეპატი – “ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ნივთები” 2 000  
 კრედიტი – “ფული” 2 000

უსასყიდლოდ გადაცემის ოპერაციის გატარება ისეთივეა, როგორც წინა შემთხვევაში.

დეპატი – “სხვა არასამეწარმეო ხარჯები” 1 000  
 კრედიტი – “ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ნივთები” 1 000

თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის მიღებული ან შესყიდული ნივთები (რომლებიც უნდა გაცივს უსასყიდლოდ) სრულად არ არის გაცემული, მათი ნაშთი აისახება ბალანსის შესაბამის პოზიციაზე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის საკითხებს არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის მე-16 სტანდარტი. ამ სტანდარტის მიხედვით (ისევე როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით) ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც

- ა) იმყოფება ხანგრძლივ განკარგულებაში და გამოიყენება: საქონლის, ნარმოებისა და მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის,
- ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო პერიოდზე მეტი ხნით გამოსყენებლად.

ამ თავის დასაწყისში ავლიშნეთ, რომ ბასს-ი არ ცნობს “მცირეფასიან და სწრაფცვლად საგნებს”. ის საგნები, რომლებიც ადრე კვალიფიცირდებოდა ამ კატეგორიაში უნდა განანიღდეს მიმდინარე ხარჯების და ძირითადი საშუალებების ანგარიშებზე. შექნილი ნივთის პირდაპირ ხარჯებზე ჩამონერის ან აქტივად აღიარების საკითხს წყვეტს ორგანიზაციის ადმინისტრაცია. ძირითადი კრიტერიუმი ამგვარი დაყოფისათვის არის სასარგებლო სამსახურის ვადა და საგნის ღირებულება. ზოგიერთ შემთხვევაში საგნის სასარგებლო სამსახურის ვადა თეორიულად აღემატება ერთ საანგარიშო პერიოდს, მაგრამ მისი ღირებულება იმდენად მცირეა, რომ უმჯობესია მისი პირდაპირ ხარჯად ჩამონერა და არა აქტივად აღიარება.

აქტივის ღირებულება განისაზღვრება მისი შესყიდვის ფასით, რომელსაც ემატება იმპორტთან ან შექენასთან დაკავშირებული პირდაპირი გადასახადები, ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ხარჯები.

**მაგალითი:**

ასოციაციამ "ეკონომიკური კვლევების ცენტრი" შეიძინა რთული კომპლუტერული ტექნიკა 12 000 ლარად (მათ შორის 2 000 დამატებულ ღირებულების გადასახადი). ტრანსპორტირებაში გადაიხადა 200 ლარი და მონტაჟში 300 ლარი.

ფაბატი - "ოფისის აღჭურვილობა"	10 500 (10 000+200+300)
ფაბატი - "ჩასათვლელი დღგ"	2 000
კრედიტი - "ფული"	12 500

ბასს-ის მე-16 სტანდარტის მიხედვით შედგენილ ქართულ ანგარიშთა გეგმაში ძირითადი საშუალებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- მიწის ნაკვეთები,
- შენობები,
- ნაგებობები,
- მანქანა-დანადგარები,
- ოფისის აღჭურვილობა,
- ავეჯი და სხვა ინვენტარი,
- ტრანსპორტი,
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

შესაბამისად იგივე კატეგორიებად არის დაყოფილი ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ანგარიშებიც:

- მიწის ნაკვეთები ცვეთა,
- შენობები ცვეთა,
- ნაგებობები ცვეთა,
- მანქანა-დანადგარები ცვეთა,
- ოფისის აღჭურვილობა ცვეთა,
- ავეჯი და სხვა ინვენტარი ცვეთა,
- ტრანსპორტი ცვეთა,
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ცვეთა.

**ამორტიზაციის აღრიცხვა**

ამორტიზაციის აღრიცხვას არასამთავრობო ორგანიზაციებში განსაკუთრებული სპეციფიკა გააჩნია. იმის გამო, რომ ორგანიზაციის ქონება (რომელიც არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის) გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან, ამორტიზაციის დარიცხვის მნიშვნელობა მცირდება. თუმცა ადმინისტრაციას და დონორებს შეიძლება აინტერესებდეთ ორგანიზაციის ქონების რეალური მდგომარეობა, რისთვისაც ამორტიზაციის აღრიცხვა უნდა მოხდეს სრულად და რეალური განაკვეთების გამოყენებით\*.

ბასს-ის მიხედვით ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ამორტიზაციის დარიცხვის შემდეგი მეთოდები:

- ა) ნრფივი მეთოდი;
- ბ) პროდუქციის ერთეულზე დარიცხვის მეთოდი;
- გ) შემცირებადი ნაშთის მეთოდი;
- დ) ნლების შეკრების მეთოდი.

სანამ თითოეულ მეთოდს განვიხილავთ უნდა აღინიშნოს, რომ აქტივს შეიძლება გააჩნდეს სალიკვიდაციო ღირებულება, რომელსაც ამორტიზაცია არ ერიცხება. სალიკვიდაციო ღირებულება არის რეალური ღირებულება, რომელიც რჩება აქტივს ორგანიზაციის მიერ მისი გამოყენების შემდეგ. მაგალითად, თუ რომელიმე ორგანიზაციამ შეიძინა დანადგარი, რომელიც მხოლოდ მიმდინარე პროექტისათვის არის გამოსადეგი და შემდეგ უნდა გასხვისდეს, გასხვისების თანხას (სალიკვიდაციო ღირებულებას) ამორტიზაცია არ უნდა დაერიცხოს.

\* საგადასახადო კოდექსის ამორტიზაციის ნორმები გამოიყენება მხოლოდ დაბეგურის მიზნით და ამიტომ, ამ ნორმებზე დაყრდნობით მიღებული რიცხვები სრულიად შესაძლებელია ქონების მდგომარეობას რეალურად არ ასახავდეს.

**ა) წრფივი მეთოდი**

წრფივი მეთოდის მიხედვით ამორტიზაცია არის აქტივის გამოყენების დროის ფუნქცია, ანუ მისი ცვეთა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენ ხანს იმუშავებს აქტივი და არა იმაზე თუ რა სიხშირით გამოიყენება იგი.

**მაგალითი:**

აქტივის სანაყის ღირებულება 1 000 ლარი, სალიკვიდაციო ღირებულება 100 ლარი, სასარგებლო სამსახურის ვადა 5 წელი.

წლიური ამორტიზაციის ხარჯი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{სანაყის ღირებულება} - \text{სალიკვიდაციო ღირებულება}}{\text{სასარგებლო სამსახურის ვადა}} = \frac{1\,000 - 100}{5} = 180$$

180 ლარი არის ამორტიზაციის წლიური ხარჯი ანუ  $1\,000 - 100$ -ის  $1/5$  და 20% (ამორტიზაციის ნორმა).

**ბ) არაწრფივი მეთოდი**

ამ მეთოდის მიხედვით ამორტიზაცია არის აქტივის გამოყენების ფუნქცია და არა იმ დროის, რომლის განმავლობაშიც ეს აქტივი გამოიყენება. ანუ ამორტიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დატვირთვით გამოიყენება აქტივი და არა იმაზე, თუ რა დროის განმავლობაში გამოიყენება იგი.

**მაგალითი:**

შეძენილია ავტომანქანა 15 000 ლარად. სალიკვიდაციო ღირებულება 2 000 ლარი. ნავარაუდევია, რომ მანქანა სულ გაივლის 100 000 კმ-ს. მიმდინარე წელს მანქანამ გაიარა 20 000 კმ.

წლიური ამორტიზაციის ხარჯი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{სან. ღირ.} - \text{სალიკ. ღირ.}}{\text{მთლიანი გარბენი}} \times \text{წლის გარბენი} = \text{ამორტიზაციის წლიური ხარჯი}$$

$$\frac{15\,000 - 2\,000}{100\,000} \times 20\,000 = 2600$$

**ა) შპს-ის წლიური მეთოდი**

ეს მეთოდი არის გარკვეული წარმავლი წრფივი მეთოდით გამოანგარიშებული ამორტიზაციის ნორმისა. ანუ წრფივი მეთოდით გამოთვლილი წლიური 20% შეიძლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით გამრავლდეს 1,5-ზე, 2-ზე და ა.შ.

**მაგალითი:**

განვიხილოთ წრფივი მეთოდში მოცემული მაგალითი: ამორტიზაციის წლიური ნორმა 20% და ავიღოთ ორმაგად შემცირებადი ნაშთის მეთოდი.

წლიური ნორმა (წრფივი)  $\times 2 =$  წლიური ნორმა (შემცირებადი)  
 $20\% \times 2 = 40\%$

წელი		ამორტიზაციის ხარჯი	ნარჩენი ღირებულება
1	$1000 \times 40\%$	400	600
2	$600 \times 40\%$	240	360
3	$360 \times 40\%$	144	216
4	$216 \times 40\%$	86.4	129.6
5	$129.60 - 100$ (სალიკვიდაციო)	29.6	100
სულ		900	

სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით აღნიშნული ნორმა (პროცენტი) ყოველი წლის დასაწყისში ერიცხება ნარჩენ ღირებულებას და არა სანაყის, ამას გარდა, შემცირებადი მეთოდის მიხედვით პროცენტის დარიცხვისას, სალიკვიდაციო ღირებულება არ აკლდება სანაყის ბალანსს.

**დ) წლავის პაკრავის მეთოდი**

შემცირებადი ნაშთის მსგავსად ამ მეთოდის გამოყენებისას ყოველ-  
წლიურამორტიზაციის ხარჯი თანდათანობით მცირდება. ამორტიზაციის  
ხარჯის გამოსათვლელად გამოიყენება სპეციალური გაანგარიშება:

**მაგალითი:**

აქტივის ღირებულება 10 000 ლარი, სალიკვიდაციო ღირებულება 1 000  
ლარი გამოყენების ვადა 5 წელი.

დარჩენილი სამსახურის ვადა X (სან. ღირ. – სალიკვ. ღირებულება)

$$\text{წლების ჯამი } (1+2+3+4+5) = 15$$

წელი	საწესის გამოკლებული სალიკვიდაციო	დარჩენილი სამსახურის ვადა	ამორტიზაციის განგარიშება	ამორტიზაციის ხარჯი	ნარჩენი ღირებულება
1	9000	5	5/15	3000	7000
2	9000	4	4/15	2400	4600
3	9000	3	3/15	1800	2800
4	9000	2	2/15	1200	1600
5	9000	1	1/15	600	1000*
სულ		15	15/15	9000	

\* სალიკვიდაციო ღირებულება

ამორტიზაციის მეთოდების განხილვის შემდეგ მოვახდინოთ  
ამორტიზაციის დარიცხვის ბუღალტრული გატარება. ბას-ის მიხედვით  
დარიცხული ამორტიზაცია არ ჩამოინერება უშუალოდ აქტივის ღირე-  
ბულებიდან. იგი აღირიცხება ცალკე ანგარიშზე "აკუმულირებული ცვეთა"  
და ბალანსში მიეთითება აქტივების შემდეგ, ანუ თუ გვანტირესებს  
აქტივის ნარჩენი ღირებულება მის პირვანდელ ღირებულებას უნდა  
გამოვაკლოთ აკუმულირებული ცვეთა. სიმარტივისათვის კიდევ ერთხელ  
განვიხილოთ ნრფივ მეთოდში მოყვანილი მაგალითი.

**მაგალითი:**

აქტივის ღირებულება 1 000 ლარი, სალიკვიდაციო ღირებულება 100  
ლარი, სამსახურის ვადა 5 წელი.

როგორც უკვე გამოვივალეთ წლიური ცვეთის ხარჯი გამოვიდა 180 ლარი  
((1 000-100):5).

დებატი – "ცვეთა და ამორტიზაცია"	180
კრედიტი – "აკუმულირებული ცვეთა"	180

**პირითადი საშუალებების რეალიზაცია**

როგორც კომერციული ასევე არაკომერციული ორგანიზაციების საქმი-  
ანობაში ხშირად გვხვდება აქტივების რეალიზაცია. ამგვარი ოპერაციების  
აღრიცხვა ანალოგიურია ორივე ტიპის სუბიექტებისათვის.

**მაგალითი:**

ბალანსზე რიცხული შენობის პირვანდელი ღირებულება არის 20 000  
ლარი. აკუმულირებული ცვეთა – 5 000 ლარი. აქტივი გაიყიდა ნაღდ  
ფულზე 14 000 ლარად.

დებატი – "ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში"	14 000
დებატი – "აკუმულირებული ცვეთა"	5 000
დებატი – "მიზნობრივი დაფინანსება"	1 000
კრედიტი – "შენობები"	20 000



## ფულადი სახსრების აღრიცხვა

- ნაღდი ფულის სახსრების შიდა კონტროლის მეთოდები და დოკუმენტაციის გაფორმება ძირითადად ემთხვევა დღეისათვის მოქმედ სტანდარტებს. ერთადერთი სიახლე, რაც ბასს-მა შემოიტანა არის “მცირე თანხების ფონდი”.
- “მცირე თანხების ფონდი” წარმოადგენს მცირე თანხას, რომელიც ინახება სალაროს გარეთ ლითონის დაცულ ყუთში და გამოიყენება ყოველდღიური მცირე ხარჯების დასაფარავად. დროის ნებისმიერ მომენტში უნდა იყოს “მცირე თანხების ფონდის” სრული თანხა ან იმ თანხის შესაბამისი ქვითრები, რომელიც ფონდიდან გავიდა.

## ფულადი სახსრების აღრიცხვა

არასამთავრობო ორგანიზაციის თავისი საქმიანობის განხორციელები-სათვის სჭირდება სახსრები, რომლებსაც მას გამოუყოფს დონორი ორგანიზაცია. ამ სახსრებს ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში ღებულობს ნაღდი ან უნაღდო ფულის სახით, ამიტომ მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების მოძრაობის ზუსტი აღრიცხვა.

ნებისმიერ ორგანიზაციაში, მათ შორის არასამთავრობოშიც, ფულადი სახსრები მოძრაობს ორი სახით: *ნაღდი ფულის* და *უნაღდო ანგარიშსწორების* სახით. ამიტომ ანგარიშთა გეგმის განყოფილებაში “მიმდინარე აქტივები” გათვალისწინებულია ანგარიშები: “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში” და “ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში”; “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”; “უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში” და “უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში”.

ნაღდი ფულის სახსრების შიდა კონტროლის მეთოდები და დოკუმენტაციის გაფორმება ძირითადად ემთხვევა დღეისათვის მოქმედ სტანდარტებს. ერთადერთი სიახლე, რაც ბასს-მა შემოიტანა არის “მცირე თანხების ფონდი”.

“მცირე თანხების ფონდი” წარმოადგენს მცირე თანხას, რომელიც ინახება სალაროს გარეთ ლითონის დაცულ ყუთში და გამოიყენება ყოველდღიური მცირე ხარჯების დასაფარავად. დროის ნებისმიერ მომენტში უნდა იყოს “მცირე თანხების ფონდის” სრული თანხა ან იმ თანხის შესაბამისი ქვითრები, რომელიც ფონდიდან გავიდა.

“მცირე თანხების ფონდის” შექმნა (ეს გატარება ხდება მხოლოდ ერთხელ):

დეკლარაცია – “მცირე თანხები”

კრედიტი – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში/ეროვნული ვალუტა ბანკში”

“მცირე თანხების ფონდის” შექმნა:

დეკლარაცია – “მცირე თანხების ხარჯები”

კრედიტი – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში/ეროვნული ვალუტა ბანკში”

“მცირე თანხების ფონდის” გარდა არსებობს ჩვეულებრივი სალარო, რომელშიც ფულის მიღებას ბუღალტერიაში ეძლევა შემდეგი გატარება:

დეკლარაცია – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

კრედიტი – “ეროვნული ვალუტა ბანკში”

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ორგანიზაციის სალაროში თანხა შემოაქვთ პიროვნებებს ან კონტრაგენტ ორგანიზაციებს თავიანთი ნდობით აღჭურვილი პირების მეშვეობით, ამ შემთხვევებში ანგარიშის “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში” დებიტო ეკორესპონდენტება “სხვა დარიცხული მოთხოვნების” ანგარიშის კრედიტს.

სალაროდან ფულის გასვლის დროს კეთდება შემდეგი გატარებები:

ხელფასის გაცემა

დეკლარაცია – “გადასახდელი ხელფასები”

კრედიტი – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

სამივილინებო და საქვეანგარიშო თანხების გაცემა

დეკლარაცია – “პერსონალის დებიტორული დავალიანება”

კრედიტი – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

ანგარიშვალდებული პირის მიერ საქვეანგარიშო თანხის სალაროში დაბრუნების შემთხვევაში ხდება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დეკლარაცია – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

კრედიტი – “ვალდებულებები სანარმო პერსონალის წინაშე”

უნაღლო ფულადი ანგარიშსწორებები როგორც წესი წარმოებს მომსახურე საბანკო დაწესებულებების მეშვეობით. უნაღლო ანგარიშსწორების საფუძველი არის საგადასახადო დავალება. ორგანიზაცია მას წარუდგენს საბანკო დაწესებულებას, და ამის საფუძველზე საბანკო დაწესებულება ორგანიზაციის დავალებით გადაურიცხავს ფულს ამა თუ იმ კონტრაგენტს.

საგადასახადო დავალებაში აღინიშნება ფულის გადამხდელი, მისი ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი, მომსახურე ბანკის კოდი, გადასახდელი თანხა, თვით თანხის მიმღები, მისი საბანკო რეკვიზიტები და გადახდის დანიშნულება. დავალებას ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ბუღალტერი.

დონორისგან მიღებული დაფინანსების გარდა ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულადი სახრები შეიძლება მოხდეს სავალუტო ანგარიშიდან (თუ მას ასეთი გააჩნია).

საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის ყველა დაწესებულებას და სანარმოს მომსახურე ბანკისათვის გადასახადელი აქვს მომსახურების ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ხარჯს და ბუღალტერიაში აისახება გატარებით:

დეკლარაცია – “სხვა არასამწარმო ხარჯები”

კრედიტი – “ეროვნული ვალუტა ბანკში”

მომწოდებელი და მომსახურე ორგანიზაციისათვის გადახდილი თანხები ბულალტერიაში აისახება გატარებებით:

ღევაძი – “ვალდებულებები მომწოდებლის წინაშე”

კრავიტი – “ეროვნული ვალუტა ბანკში”

საანგარიშო პერიოდის ბოლოს აუცილებელია მოხდეს ბანკის ანგარიშის ნაშთის შეჯერება ამონაწერისა და კომპანიის საბულალტრო ჩანაწერების მიხედვით.

არასამთავრობო ორგანიზაციებში, ისევე როგორც ყველა სხვა ორგანიზაციაში, საქმიანობა ხშირად ხორციელდება ანგარიშვალდებული პირების მეშვეობით. ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან საქვენგარიშო თანხა გაიცემა სალაროს გასავლის ორდერის საფუძველზე. თანხის ხარჯვაზე ანგარიშვალდებული პირი წარმოადგენს დოკუმენტურად დადასტურებულ ანგარიშს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ბულალტერია გაუქვითავს ანგარიშვალდებულ პირს ზუსტად იმ თანხას, რომლის ხარჯვის დოკუმენტიც არსებობს.

ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების აღსარიცხავად ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ანგარიშთა გეგმის განყოფილებაში “მოკლევადიანი მოთხოვნები” – გათვალისწინებული ანგარიში “საწარმოს პერსონალის დებიტორული დავალიანება” და განყოფილებაში “მოკლევადიანი ვალდებულებები” გათვალისწინებული ანგარიში “ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე”.

განვიხილოთ ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების ოპერაციები.

### მაგალითი:

ორგანიზაციის ანგარიშვალდებულ პირზე საქვენგარიშოდ გაცემული იქნა 300 ლარი. ამ ოპერაციაზე ბულალტერიაში უნდა მიეცეს გატარება:

ღევაძი – “საწარმოს პერსონალის დებიტორული დავალიანება” 300

კრავიტი – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში” 300

საქვენგარიშო ვადის გასვლის შემდეგ ანგარიშვალდებულმა პირმა წარმოადგინა 250 ლარის ხარჯვის დოკუმენტური ანგარიში, რაც ბულალტერიაში აისახება გატარებით:

ღევაძი – “სხვა არასამწარმეო ხარჯები” 250

კრავიტი – “საწარმოს პერსონალის დებიტორული დავალიანება” 250

ანგარიშვალდებული პირის მიერ საქვენგარიშო თანხის დაბრუნება აისახება გატარებით:

ღევაძი – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში” 50

კრავიტი – “საწარმოს პერსონალის დებიტორული დავალიანება” 50

თითოეულ ანგარიშვალდებულ პირთან ანგარიშსწორების ზუსტ წარმოების მიზნით სასურველია, ზემოთ აღნიშნული ანგარიშები გაიხსნას თითოეული ანგარიშვალდებული პირისთვის ცალ-ცალკე.

## სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა

— თითოეულ სავალუტო ოპერაციას და თუნდაც ვალუტის უმოძრაო ნაშთს დიდი გავლენა გააჩნია ორგანიზაციის საქმიანობაზე და შესაბამისად მის ბუღალტრულ აღრიცხვაზე. ვალუტის უმოძრაო ნაშთმა შეიძლება გამოიწვიოს არარეალიზებული მოგება ან ზარალი, ხოლო სავალუტო ოპერაციებმა რეალიზებული მოგება ან ზარალი.

## სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა

არასამთავრობო ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგი სახის სავალუტო ოპერაციებს:

- ა) საბანკო ანგარიშზე ვალუტის მიღება გრანტის სახით;
- ბ) სავალუტო სახსრების კონვერტაცია ლარზე;
- გ) ვალუტის შესყიდვა უცხოელ კონტრაქტორებთან ანგარიშსწორებისათვის;
- დ) სავალუტო სახსრების გადარიცხვა უცხოელ კონტრაქტორებთან ანგარიშსწორებისთვის.

განვიხილოთ თითოეული მათგანი მაგალითების დახმარებით.

### მაგალითი 1

მიღებულია უნაღდო ვალუტა (აშშ დოლარი) საბანკო ანგარიშზე. მოხდა ვალუტის კონვერტაცია ლარზე. თანხა 10 000 აშშ დოლარი, კურსი 1 დოლარი = 1,82 ლარი

დებეტი – “უცხოური ვალუტა ბანკში”/აშშ დოლარი	18 200
კრედიტი – “მიზნობრივი დაფინანსება” *	18 200

### მაგალითი 2

ბანკს მიეცა დავალება ორგანიზაციის კუთვნილი სავალუტო ანგარიშიდან მოახდინოს 5 000 დოლარის კონვერტირება ლარზე, კურსი 1 დოლარი = 1,80 ლარი

დებეტი – “ეროვნული ვალუტა ბანკში”/ლარი	9 000
კრედიტი – “უცხოური ვალუტა ბანკში”/აშშ დოლარი	9 000

\* სიმარტივისათვის ბანკის მომსახურების თანხები უგულვებელყოფილია

ანალოგიური გატარებით ფიქსირდება ლარის კონვერტაცია უცხოურ ვალუტაზე (ჩვენს შემთხვევაში აშშ დოლარი).

**მაგალითი 3**

ბანკმა მიიღო დავალება მოეხდინა 5 000 ლარის კონვერტირება აშშ დოლარებზე, კურსი 1 დოლარი = 1,83 ლარი.

დეპაზიტი – “უცხოური ვალუტა ბანკში”/აშშ დოლარი	2 732,25
კრედიტი – “ეროვნული ვალუტა ბანკში”/ლარი	2 732,25

**მაგალითი 4**

ანგარიშსწორება უცხოური ვალუტით. გრანტით მიღებული სახსრებით უცხოეთში შექმნილია 4 000 აშშ დოლარის ღირებულების საბექდი აპარატურა.

აშშ დოლარის მოსაპოვებლად ორგანიზაციამ მოახდინა შესაბამისი თანხის კონვერტირება სალარე ანგარიშიდან (მაგალითი 3-ის მსგავსად) და შემდეგ გადარიცხა 4 000 აშშ დოლარი დანიშნულებისამებრ. კურსი 1 დოლარი = 1,82 ლარი

დეპაზიტი – “უცხოური ვალუტა ბანკში”/აშშ დოლარი	
(4000 აშშ დოლარი)	7 280
კრედიტი – “ეროვნული ვალუტა ბანკში”/ლარი	7 280
დეპაზიტი – “მანქანის დანადგარები”	7 280
კრედიტი – “უცხოური ვალუტა ბანკში”/აშშ დოლარი	7 280

ეს გატარებები მოიცავდა მარტივი სავალუტო ოპერაციების აღრიცხვას არასამთავრობო ორგანიზაციებში (ამ პოზიციაზე სამენარშეო სუბიექ-

ტებსაც მსგავსი ჩანაწერები გააჩნიათ). თითოეულ სავალუტო ოპერაციას და თუნდაც ვალუტის უმოძრაო ნაშთს დიდი გავლენა გააჩნია ორგანიზაციის საქმიანობაზე და შესაბამისად მის ბუღალტრულ აღრიცხვაზე. ამ გავლენის ნათელსაყოფად განვიხილოთ დამოუკიდებელი მაგალითი.

**მაგალითი:**

2000 წლის 25 მარტს “ეკონომიკური განვითარების ცენტრმა” უცხოელი დონორისაგან მიიღო 20000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი, რომელიც შედგებოდა შემდეგი პუნქტებისაგან:

ტექნიკის შესაძენად	10 000 აშშ დოლარი
ხელფასები და ჰონორარები	6 000 აშშ დოლარი
ოფისის ქირა	3 000 აშშ დოლარი
ოფისის ხარჯები	1 000 აშშ დოლარი

გრანტზე წარსადგენი პროექტის დამუშავებისას და თავად გრანტის მიღების მომენტისთვისაც 1 აშშ დოლარი ღირდა 1,85 ლარი, ანუ პროექტის ბიუჯეტს ლარში ჰქონდა შემდეგი სახე.

ტექნიკის შესაძენად	18 500 ლარი
ხელფასები და ჰონორარები	11 100 ლარი
ოფისის ქირა	5 550 ლარი
ოფისის ხარჯები	850 ლარი
სულ	37 000 ლარი

დეპაზიტი – “უცხოური ვალუტა ბანკში”/აშშ დოლარი	37 000
კრედიტი – “მიზნობრივი დაფინანსება”	37 000

30 მარტს დასრულდა საანგარიშო პერიოდი. ამ დღისათვის 1 აშშ დოლარი = 1,90 ლარს ანუ ცენტრმა მიიღო 2 000 ლარის (20 000 X (1,90-1,80))

არარეალიზებული მოგება. ვინაიდან ცენტრი არასამენარმო სუბიექტია და შესაბამისად არ გააჩნია მოგება/ზარალი, აღნიშნული სხვაობა ალირიცხება "მიზნობრივი დაფინანსების" ანგარიშზე.

დებატი - "უცხოური ვალუტა ბანკი"/აშშ დოლარი 2 000  
კრედიტი - "მიზნობრივი დაფინანსება" 2 000

ზოგიერთ შემთხვევაში ვალუტის კურსის ცვლილებით ორგანიზაციის შეიძლება წარმოექმნას ზარალიც, რაც ბუღალტერიაში აისახება ზემოთ განხილული გატარების შებრუნებული გატარებით.

**მაგალითი:**

იმავე 30 მარტისათვის 1 აშშ დოლარი = 1,75 ლარს ანუ ცენტრს წარმოექმნა ზარალი  $20\,000 \times (1,85 - 1,75) = 2\,000$  ლარი, რაც სააღრიცხვო დოკუმენტებში აისახება გატარებით.

დებატი - "მიზნობრივი დაფინანსება" 2 000  
კრედიტი - "უცხოური ვალუტა ბანკი"/აშშ დოლარი 2 000

ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას ადგილი აქვს საკურსო სხვაობების სხვა შემთხვევებსაც. კერძოდ, თუ მომწოდებლისადმი ვალდებულება დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში და ამასთან გარიგების დადების დღისა და გადახდის დღის კურსი სხვადასხვაა, მაშინ ადგილი აქვს სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებულ მოგებას ან ზარალს.

**მაგალითი:**

"ეკონომიკური განვითარების ცენტრმა" ტექნიკის მომწოდებელთან გააფორმა ხელშეკრულება 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში)

ოდენობის კომპიუტერული სისტემების მოწოდებისათვის. კომპიუტერების მოწოდების დღისათვის 1 აშშ დოლარი = 1,80 ლარს. ამიტომ გადახდის ვალდებულება დაფიქსირდა შემდეგი გატარებით:

დებატი - "ოფისის აღჭურვილობა" 18 000 (10 000 X 1,80)  
კრედიტი - "მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები" 18 000

თანხის გადახდის დღისათვის კურსი შეიცვალა, 1 აშშ დოლარი = 1,90 ლარს რის გამოც ცენტრს მოუწია 19 000 ლარის გადახდა. ანუ ცენტრმა განიცადა 1 000 ლარის ზარალი ამ ოპერაციაზე.

დებატი - "მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები" 18 000  
დებატი - "მიზნობრივი დაფინანსება" 1 000  
კრედიტი - "ფული" 19 000

## მოსწავლე და ვალდებულება

— ძირითადი მოთხოვნა წარმოიქმნება დონორის მიმართ ორგანიზაციისთვის გრანტის გამოყოფის მომენტში.

## მოსწავლე და ვალდებულება

ორგანიზაციას გრანტის ძირითადი საპროგრამო მიზნების შესრულებისას წარმოებული ურთიერთობებიდან გამომდინარე პარტნიორების მიმართ წარმოიქმნება მოთხოვნები და ვალდებულებები. მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვისათვის სტანდარტებით გათვალისწინებულ ანგარიშთა გეგმაში არის შევამისი ანგარიშები, რომლებიც გამოიყენება აღნიშნული ოპერაციების აღსარიცხავად. ძირითადი მოთხოვნა წარმოიქმნება დონორის მიმართ ორგანიზაციისთვის გრანტის გამოყოფის მომენტში. ამიტომ გრანტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე ამ მოთხოვნების აღსარიცხავად ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ანგარიშთა გეგმაში გათვალისწინებული "სხვა დარიცხული მოთხოვნების" და "სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების" ანგარიშები. განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი:

### მაგალითი:

"ბუნების მეგობართა კავშირს" რეგიონალური ეკოლოგიური ერთნაირი პროგრამის განსახორციელებლად დონორმა ორგანიზაციამ გამოუყო 100000 ლარი. პროგრამით გათვალისწინებულია ეტაპობრივი დაფინანსება 15 თებერვალს ჩაერიცხება თანხის 30%, 30 მაისს - 40%, ხოლო 20 სექტემბერს - 30%. გრანტის დამტკიცებისთანავე აღნიშნული ოპერაცია გრანტის მთლიანი თანხით აისახება კავშირის ბუღალტერიაში გატარებით:

დეპატი - "სხვა დარიცხული მოთხოვნები"	100 000
კაპიტი - "მიზნობრივი დაფინანსება"	100 000

დონორმა ორგანიზაციამ 15 თებერვალს ჩაიცხა გრაფიკით გათვალისწინებული 30000 ლარი, რასაც კავშირის ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახავენ გატარებით:

დებამიტი – “ფულადი სახსრები”	30 000
კრედიტი – “სხვა დარიცხული მოთხოვნები”.	30 000

არც თუ იშვიათად ხდება, რომ დონორი ორგანიზაცია აფინანსებს გრძელვადიან გრანტებს. ვადით 3-დან 5 წლამდე, მსგავსი გრანტების აღრიცხვისათვის უნდა გამოიყენებოთ “სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების” ანგარიში.

**მაგალითად:**

“უპატრონო ბავშვთა დახმარების კავშირს” ხუთ-წლიანი პროგრამის შესასრულებლად დონორმა ორგანიზაციამ 2000 წელს დაუმტკიცა და გამოუყო გრანტი 602 225 ლარის ოდენობით, აქედან 2000 წელს ორგანიზაცია მიიღებს 122 045 ლარს, ამასთან, კავშირს გამოყოფილი გრანტის ნაწილი წარმოუქმნის გრძელვადიან მოთხოვნას. ამ ოპერაციას მიეცემა გატარება:

დებამიტი – “სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები”	480 180
დებამიტი – “სხვა დარიცხული მოთხოვნები”	122 045
კრედიტი – “მიზნობრივი დაფინანსება”	602 225

თანხების მიღება აღირიცხება იმავე გატარებით, რომელიც განხილული გვაქვს ზემოთ.

მუშაობის პროცესში, მოთხოვნებთან ერთად ორგანიზაციას წარმოექმნება ვალდებულებებიც ძირითადად მონოდებიდან და მომსახურებიდან, გადასახდელი ხელფასებიდან და საბიუჯეტო (აგრეთვე არასაბიუჯეტო ფონდები) გადასახადებიდან. მონოდებიდან და მომსახურებიდან ვალდებულებები ძირითადად წარმოექმნება სამენარმო ორგანიზაციებს, ამგვარი ვალდებულებები შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც წარმოეშვათ, რადგან საქართველოს კანონმდებლობა მათ აძლევს სამენარმო საქმიანობის უფლებას. ვალდებულებების

აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიშთა გეგმაში გათვალისწინებული ანგარიშები: “მინოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები” და “სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები”. აღნიშნული ანგარიშების კრედიტი ეკორესპონდენტება ანგარიშების “სხვა არასამენარმო ხარჯები”, “საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები” და “მატერიალური მარაგები” დებეტს, ხოლო ვალდებულებების დებეტი – “ფულადი სახსრების ანგარიშების” კრედიტს.

**მაგალითი:**

ელმომარაგების სანარმო წარუდგინა ორგანიზაციას ოფისის მიერ იანერის თვეში გახარჯული ელექტრო ენერჯის ანგარიში 100 ლარზე. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გატარებით:

დებამიტი – “კომუნალური მომსახურება”	100
კრედიტი – “ვალდებულებები მონოდებიდან და მომსახურებიდან”	100



## ფინანსური უწყისეპი

### *მიმდინარე აქტივები*

მიმდინარედ კლასიფიცირდება ფული და სხვა აქტივები, რომლებიც შეიძლება გაიცვალოს ფულზე ან მოხმარებული იქნას ერთი წლის განმავლობაში.

### *გრძელვადიანი აქტივები*

ყველა სხვა აქტივი, რომელიც არ შედის მიმდინარე აქტივების კატეგორიაში.

### *მიმდინარე ვალდებულებები*

ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში.

### *გრძელვადიანი ვალდებულებები*

ყველა სხვა ვალდებულება, რომელიც არ შედის მიმდინარე ვალდებულებების კატეგორიაში.

### *მიზნობრივი დაფინანსება*

ღონორებისგან მიღებული ფულადი სახსრები და მატერიალური ფასეულობები გამოხატული ფულადი სახით.

## ფინანსური უწყისეპი

ტიპური ფინანსური ანგარიშები, რომლებიც მზადდება კომერციული ორგანიზაციების მიერ შედგება შემდეგი უწყისებისაგან:

- ბალანსი;
- მოგება-ზარალის უწყისი;
- მფლობელთა კაპიტალის უწყისი;
- ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი.

არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციების შემთხვევაში ბუნებრივად გამოირიცხება მოგება-ზარალის უწყისი და მფლობელთა კაპიტალის უწყისი. ბალანსსა და ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისს კი განვიხილავთ თანმიმდევრულად.

### ბალანსი

ბალანსი არის ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური უწყისი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის (ჩვენს შემთხვევაში მიზნობრივი დაფინანსება) მდგომარეობას გარკვეული პერიოდის ბოლოსათვის.

ბას-ის მიხედვით მომზადებული ბალანსის მუხლები კლასიფიცირდება შემდეგი თანმიმდევრობით

### აქტივები

- მიმდინარე აქტივები
- გრძელვადიანი აქტივები
- ვალდებულებები და კაპიტალი
- მიმდინარე ვალდებულებები

- გრძელვადიანი ვალდებულებები

- მიზნობრივი დაფინანსება

**მიმდინარე აქტივები**

მიმდინარედ კლასიფიცირდება ფული და სხვა აქტივები, რომლებიც შეიძლება გაიცვალოს ფულზე ან მოხმარებული იქნას ერთი წლის განმავლობაში.

**გრძელვადიანი აქტივები**

ყველა სხვა აქტივი, რომელიც არ შედის მიმდინარე აქტივების კატეგორიაში.

**მიმდინარე ვალდებულებები**

ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში.

**გრძელვადიანი ვალდებულებები**

ყველა სხვა ვალდებულება, რომელიც არ შედის მიმდინარე ვალდებულებების კატეგორიაში.

**მიზნობრივი დაფინანსება**

დონორებისგან მიღებული ფულადი სახსრები და მატერიალური ფასეულობები გამომხატული ფულადი სახით.

საბოლოო ბალანსის შედგენამდე, როგორც წესი მზადდება ეგრეთ-წოდებული საცდელი ბალანსი (ბრუნვითი უწყისის ბოლო სვეტი), რომელიც გვიჩვენებს პერიოდის ბოლოს ნაშთებს თითოეული ანგარიშისათვის.

**“კავშირი”**

საცდელი ბალანსი

1999 წლის 31 დეკემბრისათვის

№	ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	500	
1210	ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	2000	
2160	საოფისე აღჭურვილობა	12000	
2260	საოფისე აღჭურვილობაზე დარიცხული ცვეთა		2000
3130	გადასახდელი ხელფასები		800
7110	ხარჯები მასალების შესაძენად	3000	
7120	ხელფასის ხარჯები	2500	
7170	ცვეთის ხარჯები	500	
7435	კომუნიკაციის ხარჯები	500	
5440	მიზნობრივი დაფინანსება		18200
		21000	21000

საცდელი ბალანსის შედგენის შემდეგ კეთდება დასკვნითი გატარებები, რომლითაც იხურება ყველა დროებითი ანგარიში და გვრჩება მხოლოდ ის პოზიციები, რომლებიც უნდა გადავიტანოთ ბალანსში. ჩვენს მაგალითში დროებითი ანგარიშები წარმოდგენილია ხარჯების ანგარიშების სახით, რომლებიც დასკვნითი გატარებებით უნდა დაიხუროს “მიზნობრივი დაფინანსების” ანგარიშიდან (რადგან არ გაგვაჩნია მოგება-ზარალი):

დებიტი – 5440	“მიზნობრივი დაფინანსება”	6 500
კრედიტი – 7110	“ხარჯი მასალების შესაძენად”	3 000
კრედიტი – 7120	“ხელფასის ხარჯი”	2 500
კრედიტი – 7170	“ცვეთის ხარჯი”	500
კრედიტი – 7155	“კომუნიკაციის ხარჯები”	500

აღნიშნული დასკვნითი გატარებების შემდეგ ჩვენ მივიღეთ საბალანსო ანგარიშების საბოლოო ნაშთები, რომელთა მიხედვით შედგენილ ბალანსაც ექნება შემდეგი სახე:

“კავშირი”

ბალანსი

1999 წლის 31 დეკემბრისათვის

აქტივები

მიმდინარე აქტივები	
- ნაღდი ფულადი სახსრები	500
- ფულადი სახსრები ბანკებში	<u>2000</u>
სულ მიმდინარე აქტივები	2500
გრძელვადიანი აქტივები	
- საოფისე აღჭურვილობა (ცვეთის გარეშე)	<u>10000</u>
სულ გრძელვადიანი აქტივები	10000
მოლიანი აქტივები	
	<u>12500</u>

პაღმსახურებები

მიმდინარე ვალდებულებები	
- გადასახდელი ზელფასები	<u>800</u>
სულ მიმდინარე ვალდებულებები	800
მოლიანი ვალდებულებები	800

კაპიტალი

- მიზნობრივი დაფინანსება	11700 (18200-6500)
მოლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	<u>12500</u>

ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი

ბასს-ის მიხედვით შედგენილი მეორე მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშია "ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი". ამ უწყისის მიზანია წარმოაჩინოს ფულადი (როგორც ნაღდი ასევე უნაღდო) სახსრების შემოსვლა და ხარჯვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ანუ "ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი" იძლევა პასუხს შემდეგ კითხვებზე:

1. რომელი წყაროებიდან მივიღეთ ფული პერიოდის განმავლობაში?
2. სად დაიხარჯა ფული პერიოდის განმავლობაში?
3. რა ცვლილება განიცადა ფულის საწყისმა ბალანსმა საბოლოოსთან შედარებით?

"ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი" გაყოფილია სამ ნაწილად. ესენია:

- ა. საოპერაციო საქმიანობა – ფულადი სახსრების მოძრაობა ტიპური საქმიანობიდან
- ბ. საინვესტიციო საქმიანობა – ძირითადი საშუალებების შექმნა-გასხვიება
- გ. ფინანსური საქმიანობა – მიღებული გრანტები (ფულადი) და შემწეობები

პრაქტიკაში არსებობს "ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისის" შედგენის ორი მეთოდი: პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი). არაპირდაპირი მეთოდი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კომერციულ ორგანიზაციებში. ჩვენ მას აქ არ განვიხილავთ, რადგან იგი წმინდა მოგებაზეა დამყარებული (ჩვენ კი განვიხილავთ არა კომერციულ ორგანიზაციებს).

პირდაპირი მეთოდი

ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისის ყველაზე "რთულ" ნაწილს წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობა. იგი, როგორც წესი, სამუშაოს მოცულობით აღემატება სხვა დანარჩენ პოზიციებს. ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან შედგება შემდეგი პოზიციებისაგან:

- მომწოდებლისადმი გადახდილი ფულადი სახსრები;
- თანამშრომლებისადმი გადახდილი ფულადი სახსრები;
- გადახდილი გადასახადები;
- სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები.

კომერციული ორგანიზაციების შემთხვევაში ამ სიას კიდევ ემატება

ფულადი სახსრების შემოდინება კლიენტებისაგან. ამიტომ უმეტეს შემთხვევებში ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან დადებითი რიცხვია. ჩვენს შემთხვევაში კი საოპერაციო საქმიანობას მხოლოდ ხარჯვა წარმოადგენს ამიტომ აღნიშნული რიცხვი ყოველთვის უარყოფით იქნება.

როგორც უკვე აღინიშნა, საინვესტიციო საქმიანობა არაკომერციული ორგანიზაციისათვის ძირითადი საშუალებების ყიდვა-გაყიდვაა. ამ პოზიციის გამოთვლა შედარებით მარტივია, რადგან ამგვარი ოპერაციები ჩვეულებრივ დიდი სიხშირით არ გამოირჩევა. ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან შეიძლება იყოს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი რიცხვი. იმ შემთხვევაში თუ აქტივის გაყიდვით მიღებული თანხა აჭარბებს სხვა აქტივში გადახდილ თანხას ფულადი სახსრების ნაკადი დადებითი იქნება, ყველა სხვა შემთხვევაში (თუ საერთოდ ჰქონდა ადგილი ძირითადი საშუალებების მოძრაობას) კი უარყოფითი.

ფულადი სახსრების ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან ყოველთვის დადებითი იქნება, რადგან ამ პოზიციაზე ჩვენ ავსახავთ გრანტებისა და სხვა შემონიშნულობების სახით მიღებულ თანხებს.

ყოველივე ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი, რომელშიც ნაჩვენებია იქნება ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისის ფორმა და შინაარსი.

“ფონდი”

ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი  
1999 წლის 1 იანვრიდან 1999 წლის 31 დეკემბრამდე

ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მოწოდებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	-2000	
თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	-1500	
გადახდილი გადასახადები	-500	
სხვა მომდინარე ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები	-400	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>-4400</b>
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შექმნა	-2000	
<b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>-2000</b>
ფულადი სახსრების ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული გრანტები	6000	
<b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>6000</b>
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		-400*
ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისში (01/01/99 ბალანსიდან)		1500
ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის ბოლოს (01/01/99 ბალანსიდან)		1100

\*(6000-2000-4400)

“ფულადი სახსრების წმინდა ცვლილების” თანხა უნდა ემთხვეოდეს ფულის საბოლოო და საწყისი ნაშთების (ბალანსიდან) სხვაობას, რაც უწყისის სისწორის კონტროლის საუკეთესო საშუალებაა.

**ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო  
სტანდარტების პრაქტიკაში  
ღანერგვა**

- ბასს-ის პრაქტიკაში დასაწერად აუცილებელია პერიოდის ბოლოს არსებული საბალანსო ნაშთები ტრანსფორმირებულ იქნას ახალ ანგარიშებზე.

**ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების  
პრაქტიკაში ღანერგვა\***

ბასს-ის პრაქტიკაში დასაწერად აუცილებელია პერიოდის ბოლოს არსებული საბალანსო ნაშთები ტრანსფორმირებულ იქნას ახალ ანგარიშებზე. ასევე საჭიროა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩატარება, რომლებიც უშუალოდ ბასს-ის დანერგვასთან არის დაკავშირებული. უნდა გაანალიზდეს თითოეული ანგარიშის ნაშთი და მოიძებნოს მისი ახალ ანგარიშზე გადატანის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

გათვაზობთ ბასს-ზე კონვერსიის საქართველოში აპრობირებულ მეთოდს (არასამთავრობო ორგანიზაციების თავისებურებების გათვალისწინებით), რომელიც დამუშავებულია "Sibley International"- ისა და "ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" მიერ.

როგორც უკვე აღინიშნა, კონვერსიის პროცესში საჭიროა დამატებითი გატარებების გაკეთება. მაგალითად საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად ხარჯებისა და შემოსავლების დარიცხვამდე, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ჩამონერა და ა.შ. ყველა ასეთი ტიპის შესწორებები ასახული უნდა იყოს დებეტი (კრედიტი) ერთ დროებით მუშა ანგარიშზე, მაგალითად 80\1 – კონვერსიის შედეგები.

**ანგარიში 01 "ძირითადი საშუალებები"** – განკუთვნილია საკუთრების უფლებით სანარმოს კუთვნილი, ექსპლუატაციაში ან მარაგად მყოფი, დაკონსერვებული და იჯარით გაცემული (გარდა გრძელვადიანი იჯარით გაცემულისა) ძირითადი საშუალებების მოძრაობის აღსარიცხავად.

\* ამ თავის მომზადებისას გამოყენებულია "Sibley International" -ისა და "ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" მიერ მომზადებული მასალები.

რეკლასიფიკაციის გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დევატი - 2100 "ძირითადი საშუალებები"  
კრედიტი - 01 "ძირითადი საშუალებები"

**ანგარიში 02 "ძირითადი საშუალებების ცვეთა"** - განკუთვნილია საკუთრების უფლებით სანარმოზე მიკუთვნილებული და გრძელვადიანი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის აღსარიცხავად.

რეკლასიფიკაციის გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დევატი - 02 "ძირითადი საშუალებების ცვეთა"  
კრედიტი - 2200 "ძირითადი საშუალებების ცვეთა"

**ანგარიში 03 "გრძელვადიანი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები"** - განკუთვნილია სანარმოს მიერ ხანგრძლივი ვადით იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების და მათი მოძრაობის აღსარიცხავად.

დევატი - 2100 "ძირითადი საშუალებები"  
კრედიტი - 03 "გრძელვადიანი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები"

**ანგარიში 04 "არამატერიალური აქტივები"** - განკუთვნილია საკუთრების უფლებით საზოგადოების კუთვნილი არამატერიალური აქტივების სახეზე ყოფნის და მოძრაობის აღსარიცხავად.

დევატი - 2500 "არამატერიალური აქტივები"  
კრედიტი - 04 "არამატერიალური აქტივები"

**ანგარიში 05 "არამატერიალური აქტივების ცვეთა"** - განკუთვნილია არამატერიალურ აქტივებზე დარიცხული ცვეთის აღსარიცხავად.

დევატი - 2600 "არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია"  
კრედიტი - 05 "არამატერიალური აქტივების ცვეთა"

**ანგარიში 09 "მისაღები საიჯარო ვალდებულებები"** - განკუთვნილია მოიჯარეებისაგან ანგარიშსწორების აღსარიცხავად მათზე გრძელვადიანი იჯარის პირობებში გადაცემული ძირითადი საშუალებებისათვის. ამ ანგარიშს გამოიყენებენ იჯარის გამცემი ორგანიზაციები.

დევატი - 2320 "ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები"  
კრედიტი - 09 "მისაღები საიჯარო ვალდებულებები"

**ანგარიში 50 "სალარო"** - განკუთვნილია სანარმოში ნაღდი ფულის მოძრაობის აღსარიცხავად.

დევატი - 1100 "ნაღდი ფული"  
კრედიტი - 50 "სალარო"

**ანგარიში 51 "ანგარიშსწორების ანგარიში"** - განკუთვნილია სანარმოში ფულადი საშუალებების ნაციონალურ ვალუტაში მოძრაობის აღსარიცხავად ბანკში გახსნილ ანგარიშებზე.

**ანგარიში 52 "სავალუტო ანგარიში"** - განკუთვნილია უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი საშუალებების საბანკო ანგარიშებზე მოძრაობის აღსარიცხავად როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ.

ფაბიკი – 1200 “ფული საბანკო ანგარიშებზე”

ქრეფიტი – 51 “ანგარიშსწორების ანგარიში”

ქრეფიტი – 52 “სავალუტო ანგარიში”

**ანგარიში 55 “სპეციალური ანგარიშები ბანკში”** – განკუთვნილია ფულადი საშუალებების არსებობისა და მოძრაობის აღსარიცხავად ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ აკრედიტით, საჩეკო წიგნაკებში, სხვა საგადასახადო დოკუმენტებში (თამასუქების გარდა), მიმდინარე, განსაკუთრებულ და სხვა სპეციალურ ანგარიშებზე.

ფაბიკი – 1100/1200 “ფული საბანკო ანგარიშებზე/ნაღდი ფული”

ქრეფიტი – 55 “სპეციალური ანგარიშები ბანკში”

**ანგარიში 57 “გზავნილები გზაში”** – განკუთვნილია გზაში ფულადი საშუალებების (გზავნილების) მოძრაობის აღსარიცხავად ქართულ და უცხოურ ვალუტაში. 57 ანგარიში რეკლასიფიცირებული უნდა იქნას 1200 ანგარიშის ჯგუფში ვალუტის მიხედვით.

**ანგარიში 61 “ანგარიშსწორებანი გაცემული ავანსებით”** – განკუთვნილია მატერიალური ფასეულობების ან შესრულებული სამუშაოებისათვის გაცემული ავანსების აღსარიცხავად. 61 ანგარიშის რეკლასიფიკაცია უნდა მოხდეს ახალი ანგარიშთა გეგმის ანგარიშებზე: 1480 “მოწოდებლებზე გადახდილი ავანსი”, 1710 “წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება” და 1790 “სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები”.

**ანგარიში 76 “ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან”** – გამოიყენება ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად

სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ყველა სახის ოპერაციებზე, რომლებიც განხილული არ არის 60-75 ანგარიშების განმარტებებში. კერძოდ, ანგარიშსწორებანი სხვადასხვა ორგანიზაციებთან არაკომერციული ხასიათის ოპერაციებით, სატრანსპორტო ორგანიზაციებთან მომსახურებისათვის, რომლის განაღდება ხდება ჩეკებით; დემონირებულ ხელფასის, პრემიების და სხვა ანალოგიური თანხებით; აღმასრულებელი დოკუმენტების ან სასამართლო ორგანოების დადგენილებების საფუძველზე საწარმოს მუშაკთა ხელფასიდან სხვა ორგანიზაციებისა და პირების სასარგებლოდ დაკავებული თანხებით და სხვა.

76-ე ანგარიშს შეესაბამება 3410 “გადახდილი პროცენტები” – საანგარიშსწორებო პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილი ვალდებულება, რომელიც ერიცხება ამ პერიოდის ბოლოს, 3430 “ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე” – ვალდებულება მომხმარებლის წინაშე გარკვეული დროის განმავლობაში საგარანტიო მომსახურებაზე, 3490 “სხვა დარიცხული ვალდებულებები” – სხვა სახის დარიცხული ვალდებულებები, აგრეთვე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ანგარიში 3190 “სხვა მოკლე-ვადიანი ვალდებულებები”.

გარდა ამისა 76-ე ანგარიშს შეესაბამება 1430 “მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ”, 1440 “მოთხოვნები ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ” და 1450 “მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან”, რომლებიც წარმოიშვება კომპანიასა და მასში დასაქმებულ პირთა შორის ანგარიშსწორებისას; საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნას ანგარიშიც 1490 “სხვა მოთხოვნები”.

**ანგარიში 10 "მასალები"** – განკუთვნილია სანარმოს ნედლეულის, მასალების, სათადარიგო ნაწილების, ტარის და სხვა მატერიალური ფასეულობის მოძრაობის აღსარიცხავად. 10 ანგარიშზე შეიძლება შემდეგი სუბანგარიშების გახსნა:

- 10-1 ნედლეული და მასალები
- 10-2 ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწარმი, კონსტრუქციები და დეტალები
- 10-3 სათბობი
- 10-4 ტარა და ტარის მასალები
- 10-5 სათადარიგო ნაწილები
- 10-6 დანარჩენი მასალები
- 10-7 გარეთ გადასამუშავებლად გაცემული ნაწილები
- 10-8 სამშენებლო მასალები

ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით 10 ანგარიში (სუბანგარიშებით) შეიძლება განაწილდეს შემდეგ ანგარიშებზე:

1620 ნედლეული და მასალები

1690 სხვა სანარმოო მარაგები

**ანგარიში 12 "მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები"** – გათვალისწინებულია სანარმოს კუთვნილი მცირეფასიანი და სწრაფ-ცვეთადი საგნების, სამეურნეო ინვენტარის, ინსტრუმენტების, საერთო და სპეციალური დანიშნულების სამარჯვეების და შრომის სხვა საშუალებების აღსარიცხავად. აქვე აღირიცხება სანარმოს ექსპლუატაციაში მყოფი დროებითი (არასატიტულო) ნაგებობანი, სამარჯვეები და მოწყობილობები. ბასს-ის და საერთოდ მსოფლიო ბულალტრული აღრიცხვის პრაქტიკაში არ არსებობს მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების

ცნება, შესაბამისად, ამ ანგარიშზე აღრიცხული ფასეულობები განეკუთვნება ძირითადი საშუალებებისა და ხარჯების ჯგუფებს. სანარმოს ხელმძღვანელობამ თვითონ უნდა განსაზღვროს ამ ანგარიშზე არსებული ფასეულობიდან რომელი შეიძლება მიაკუთვნოს ძირითად საშუალებებს. თუ განისაზღვრა ასეთი საშუალება, იგი ღირებულებით გადაიტანება 2100 "ძირითადი საშუალებები", 12-2 "მცირეფასიანი სწრაფ-ცვეთადი საგნები ექსპლუატაციაში" არსებული ფასეულობები უნდა ჩამოინეროს პირდაპირ ხარჯებში. 12-1 "მცირეფასიანი სწრაფცვეთადი საგნები მარაგში" სუბანგარიშზე არსებული ფასეულობა შეიძლება იქნას ჩამონეროლი ანგარიშზე 1790 "სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები" ან ანგარიშზე 8290 "სხვა არასამენარმეო ხარჯები" :

სარეკლასიფიკაციო გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დეპატი – 2100 "ძირითადი საშუალებები"

დეპატი – 1790 "სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები"

დეპატი – 8290 "სხვა არასამენარმეო ხარჯები"

კრედიტი – 12 "მცირეფასიანი სწრაფცვეთადი საგნები"

**ანგარიში 13 "მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა"** – გათვალისწინებულია ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი და სწრაფ-ცვეთადი საგნების და გასაქირავებელი საგნების ცვეთის აღსარიცხავად. აღნიშნულ ანგარიშზე აკუმულირებული ცვეთა უნდა ჩამოინეროს ანგარიშზე 8290 "სხვა არასამენარმეო ხარჯები". თუ სანარმომ მოახდინა 12 ანგარიშზე არსებული ფასეულობის ძირითადი საშუალებების ჯგუფში გადატანა, მაშინ მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების დაგროვილი ცვეთის ანგარიშიდან, ამ საშუალების ცვეთის თანხა უნდა



გადავიტანოთ ძირითად საშუალებების ცვეთის ანგარიშთა ჯგუფში".

სარეკლასიფიკაციო გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დეპატი - 13 "მცირეფასიანი სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა"

კრედიტი - 2200 "ძირითადი საშუალებების ცვეთა"

კრედიტი - 8290 "სხვა არასამწარმოო ხარჯები"

**ანგარიში 15 "მასალების დამზადება და შექმნა"** - გათვალისწინებულია მასალების შექმნასა და დამზადების ოპერაციების აღსარიცხავად. ეს ანგარიში ტრანზიტულია და ამიტომ პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

სარეკლასიფიკაციო გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დეპატი - 1610 "საქონელი"

დეპატი - 1620 "ნედლეული და მასალები"

დეპატი - 7110 "ძირითადი მასალების დანახარჯები (შექმნა)"

კრედიტი - 15 "მასალების დამზადება და შექმნა"

**ანგარიში 19 "დამატებული ღირებულების გადასახადი შექმნილ ფასეულობებზე"** - გამოიყენება შექმნილ ფასეულობაზე დარიცხული დღგ-ს აღსარიცხავად. უნდა რეკლასიფიცირებული იქნას 3340 ანგარიშზე "გადახდილი დღგ" სასურველია ვანარმოთ ანგარიში "დასაბრუნებელი დღგ", ეს ანგარიში საჭიროა იმისათვის, რომ არ მოხდეს ჩასათვლელი და ნაყიდ პროდუქციაზე დარიცხული დღგ-ს არევა. აღნიშნული ანგარიში გამოიყენება 3330 "გადასახდელი დღგ-ს" კონტრანგარიშად და აისახება ბალანსში უარყოფითი რიცხვით.

დეპატი - 3340 "გადახდილი დღგ"

კრედიტი - 19 "დღგ შექმნილ ფასეულობებზე"

**ანგარიში 31 "მომავალი პერიოდის ხარჯები"** - განკუთვნილია ისეთი ხარჯების აღსარიცხავად, რომლებიც განეწესა მომდინარე პერიოდში, მაგრამ ეკუთვნიან მომავალ საანგარიშო პერიოდს.

"მომავალი პერიოდის ხარჯები" - ანალიზის შემდეგ რეკლასიფიცირებული უნდა იქნას ახალი ანგარიშთა გეგმის შემდეგ განყოფილებებში:

1700 "წინასწარ განეული ხარჯები"

1800 "დარიცხული მოთხოვნები"

1900 "სხვა მიმდინარე აქტივები"

**ანგარიში 60 "ანგარიშსწორებანი მომწოდებლებთან და მოიჯარეებთან"** - ეს ანგარიში განკუთვნილია მომწოდებლებთან და მოიჯარეებთან ანგარიშსწორებთა აღსარიცხავად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის, შესრულებული სამუშაოებისა და განეული მომსახურებისათვის.

წარმოდგენილი ანგარიშთა გეგმის მიხედვით მე-60 ანგარიშს შეემატება: 3110 "მონოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი დავალიანებები" - ეს არის მოკლევადიანი ვალდებულება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მომწოდებლებისა და სამუშაოების შემსრულებელთა წინაშე, აგრეთვე 3140 "როიალტი" და 3150 "საკომისიო გადასახდელები".

სარეკლასიფიკაციო გატარებებს ექნება შემდეგი სახე:

დეპატი - 60 "ანგარიშსწორებანი მომწოდებლებთან და მოიჯარეებთან"

კრედიტი - 3110 "მონოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი დავალიანებები"

კრედიტი - 3140 "როიალტი"

კრედიტი - 3150 "საკომისიო გადასახდელები"

კრედიტი - 3190 "სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები"

**ანგარიში 65 “ანგარიშსწორებანი ქონებრივი და პირადი დაზღვევით”**

– ანგარიში გამოიყენება სანარმოს ქონების და პერსონალის დაზღვევაზე (გარდა სოციალური უზრუნველყოფითა და სამედიცინო დაზღვევით ანგარიშსწორებისა) ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად, რომელშიც სანარმო გამოდის როგორც დამზღვეველი.

აღნიშნულ ანგარიშს შეესაბამება შემდეგი ანგარიშები: 3190 “სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები” და 3490 “სხვა დარიცხული ვალდებულებები” ისინი განკუთვნილი არიან ყველა იმ ვალდებულებებისთვის, რომელთათვისაც არ არის გახსნილი ანგარიშები შესაბამის განყოფილებებში (მოკლევადიანი ვალდებულებები და დარიცხული ვალდებულებები).

**ანგარიში 67 “ანგარიშსწორებანი ბიუჯეტგარეშე გადასახდელებით”**

– განკუთვნილია ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად სახელმწიფო ორგანოებთან იმ გადასახდელების მიხედვით, რომელსაც სანარმო იხდის სხვადასხვა ბიუჯეტგარეშე ფონდებში (გარდა სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ანგარიშსწორებისა).

ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით ამ ანგარიშის სანაცვლოდ შესაძლოა გამოყენებულ იქნას 3390 “სხვა საგადასახადო ვალდებულებები”, იგი აერთიანებს ყველა იმ გადასახადებს, რომელთათვისაც არ არის გახსნილი დამოუკიდებელი ანგარიშები.

**ანგარიში 68 “ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან”** – განკუთვნილია სანარმოს მიერ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად. 68-ე ანგარიშის ნაცვლად წარმოდგენილ ანგარიშთა გეგმაში გამოიყენება

დამოუკიდებელი ანგარიშები: 3310 “გადასახდელი მოგების გადასახადი”, რომელსაც იხდის სანარმო მთლიანი მოგებიდან, 3320 “გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი” პერსონალის ხელფასებიდან გადასახადი, 3330 “გადასახდელი დღგ” და 3350 “გადასახდელი აქციზი” ვალდებულებები ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ და 3390 “სხვა საგადასახადო ვალდებულებები”, აერთიანებს ბიუჯეტში ყველა იმ ადგილობრივ და ცენტრალური გადასახადებს, რომელთათვისაც არ არის გახსნილი დამოუკიდებელი ანგარიშები.

**ანგარიში 69 “ანგარიშსწორებანი სოციალური უზრუნველყოფით და სამედიცინო დაზღვევით”** – ანგარიში გამოიყენება სახელმწიფო ორგანოებთან სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ანგარიშსწორების აღრიცხვის მიზნით.

აღნიშნულ ანგარიშს ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით შეესაბამება 3370 “სოციალური გადასახადი”, რომლებზეც აღირიცხება სოციალური უზრუნველყოფის საბიუჯეტო და არა საბიუჯეტო გადასახადები.

სარეკლასიფიკაციო გატარებებს ექნება შემდეგი სახე:

- დეპატი – 69 “ანგარიშსწორებანი სოციალური უზრუნველყოფით და სამედიცინო დაზღვევით”
- კრედიტი – 3370 “სოციალური გადასახადი

**ანგარიში 70 “ანგარიშსწორებანი პერსონალთან შრომის ანაზღაურებით”** – განკუთვნილია პერსონალთან შრომის ანაზღაურებით ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად.

ამანგარიშს შეესაბამება – 3130 “გადასახდელი ხელფასები”, რომელზეც აღორცილება პერსონალისთვის გადასახდელი ხელფასები, პრემიები, ანაზღაურებადი გაცდენები და სხვა.

დეპიტი – 70 “ანგარიშსწორებანი პერსონალთან შრომის ანაზღაურებით”  
კრედიტი – 3130 “გადასახდელი ხელფასები”

**ანგარიში 71 “ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან”** – ანგარიშზე აღორცილება სანარმოს მუშაკებზე ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ოპერაციული ხარჯებისათვის საქვეანგარიშოდ გაცემული, აგრეთვე სამსახურებრივი მივლინებისათვის გაცემული თანხები.

ამანგარიშის შესაბამისი ანგარიშებია: 3160 “ვალდებულებები სანარმოს პერსონალის წინაშე, რომელზედაც აღორცილება სამივლინებო და სხვა სახის ხარჯები, აგრეთვე შესაძლოა გამოყენებულ იქნას 3190 “სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები”.

**ანგარიში 73 “ანგარიშსწორებანი პერსონალთან დანარჩენი ოპერაციებით”** – განკუთვნილია სანარმოს პერსონალთან შრომის ანაზღაურებით ანგარიშსწორების, ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების, და დეპონენტებთან ანგარიშსწორების გარდა ყველა სხვა სახის ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად.

წარმოდგენილი ანგარიშთა გეგმის მიხედვით 73-ე ანგარიშს შეესაბამება 3160 “ვალდებულებები სანარმოს პერსონალის წინაშე” და 3190 “სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები” ანგარიშები.

**ანგარიში 96 “მიზნობრივი დაფინანსება და შემოსავლები”** – ანგარიში განკუთვნილია მიზნობრივი დანიშნულების ღონისძიებებისათვის განკუთვნილი სახსრების მოძრაობის აღსარიცხავად, კერძოდ, სხვა საზოგადოებებისაგან მიღებული სახსრების, სამთავრობო ორგანოების სუბსიდიების და ა.შ.

ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით 96-ე ანგარიშს შეესაბამება: 5440 “მიზნობრივი დაფინანსება”

დეპიტი – 96 “მიზნობრივი დაფინანსება”  
კრედიტი – 5440 “მიზნობრივი დაფინანსება”

**ანგარიში 97 “საიჯარო ვალდებულებანი”** – ანგარიში განკუთვნილია ანგარიშსწორებათა აღსარიცხავად მეიჯარეებთან მათ მიერ გრძელვადიანი იჯარით გადაცემული ძირითადი საშუალებებისათვის. ეს ანგარიში გამოიყენება მოიჯარე სანარმოების მიერ.

ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით ამ ანგარიშს შეესაბამება 4130 “ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე” ანგარიში, რომელზეც აღორცილება გრძელვადიანი იჯარასთან დაკავშირებული ანგარიშსწორებანი.

დეპიტი – 4130 “ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე”  
კრედიტი – 97 “საიჯარო ვალდებულებანი”

## დანართები

დანართი 1 - ბუღალტრული აღრიცხვის  
ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა

დანართი 2 - ძველი ანგარიშების რეკლასიფიკაცია  
ახალი გეგმის მიხედვით

დანართი 3 - ბალანსის ტიპიური ფორმა

დანართი 4 - ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი

ბულალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა

1000 მიმდინარე აქტივები

1100 ნაღდი ფული

1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში

1200 ფული საბანკო ანგარიშზე

1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1230	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში

1300 მოკლევადიანი ინვესტიციები

1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
1320	მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
1330	გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე წილი
1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები

1400 მოკლევადიანი მოთხოვნები

1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
1415	გამოქვითული სავაჭრო მოთხოვნები
1420	მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ
1440	მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ
1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან
1460	კაპიტალის შეესებაზე პარტნიორების გრძელვადიანი დაავალანების მიმდინარე წილი
1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე წილი
1480	მომწოდებელზე გადახდილი აუანსები
1490	სხვა მოთხოვნები

1500 მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები

1510	მიღებული მოკლევადიანი თამასუქები
1520	მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი

1600 სასაქონლო მატერიალური მარაგი

1610	საჭინელი
1620	ნედლეული და მასალები
1630	დაუმთავრებელი წარმოება
1640	მზა პროდუქცია
1690	სხვა საწარმოო მარაგი

1700 წინასწარ გაწეული ხარჯები

1710	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება
1720	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა
1790	სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები

1800 დარიცხული მოთხოვნები

1810	მისაღები დივიდენდები
1820	მისაღები პროცენტები
1890	სხვა დარიცხული მოთხოვნები

1900 სხვა მიმდინარე აქტივები

1910	სხვა მიმდინარე აქტივები
------	-------------------------

2000 გრძელვადიანი აქტივები

2100 ძირითადი საშუალებები

2110	მიწის ნაკვეთები
2120	დაუმთავრებელი შენებლობები
2130	შენობები
2140	ნაგებობები
2150	მანქანა-დანადგარები
2160	ოფისის აღჭურვილობა
2170	ავიჯის და სხვა ინვენტარი
2180	ტრანსპორტი
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

2200 ძირითადი საშუალებების ცვეთა

2230	შენობის ცვეთა
2240	ნაგებობის ცვეთა
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა
2270	ავიჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა
2280	ტრანსპორტის ცვეთა
2290	იჯარით აღებული ქონების ცვეთა

2300 გრძელვადიანი მოთხოვნები

2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუქები
2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
2330	მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შეესებაზე
2340	გადაადებული საგადასახადო აქტივები
2390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

2400 გრძელვადიანი ინვესტიციები

2410	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
2420	გრძელვადიანი ინვესტიციება სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
2430	მინაწილეობა სხვა საზოგადოებაში
2490	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები

2500 არამატერიალური აქტივები

2510	ლიცენზიები
2520	კონცესიები
2530	პატენტები
2540	გუდივილი
2590	სხვა არამატერიალური აქტივები

2600 არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

2610	ლიცენზიების ამორტიზაცია
2620	კონცესიების ამორტიზაცია
2630	პატენტების ამორტიზაცია
2640	გუდივილის ამორტიზაცია
2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია



ვალდებულებები

3000 მოკლევადიანი ვალდებულებები

3100 მოკლევადიანი ვალდებულებები

3110	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
3120	მიღებული აენისები
3130	გადასახდელი ხფასები
3140	როიალტი
3150	საკომისიო გადასახდლები
3160	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე
3170	გადასახდლები შეკვეთიერე საწარმოებისათვის
3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

3200 მოკლევადიანი სესხები

3210	მოკლევადიანი სესხები
3220	სესხები პარტნიორებისაგან
3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი

3300 საგადასახადო ვალდებულებები

3310	გადასახდელი მოგების გადასახადი
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
3330	გადასახდელი დღგ
3340	გადახდილი დღგ
3350	გადასახდელი აქციზი
3360	გადახდილი აქციზი
3370	სოციალური გადასახადი
3390	სხვა საგადასახადო ვალდებულებები

3400 დარიცხული ვალდებულებები

3410	გადასახდელი პროცენტები
3420	გადასახდელი დივიდენდები
3430	ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე
3490	სხვა დარიცხული ვალდებულებები

4000 გრძელვადიანი ვალდებულებები

4100 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

4110	განაღებული ობლიგაციები
4120	განაღებული თამასუქები
4130	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე
4140	გრძელვადიანი სესხები
4190	სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

4200 გადავადებული გადასახდლები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

4210	გადავადებული მოგების გადასახადი
4220	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

4300 ანარიცხები

4310	საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები
4320	სხვა ანარიცხები

4400 გადავადებული შემოსავალი

4410	გადავადებული შემოსავალი
------	-------------------------

5000 საკუთარი კაპიტალი

5100 საწესდებო კაპიტალი

5110	ჩვეულებრივი აქციები
5115	საწესდებო კაპიტალი შპს-ში
5120	პრივილეგირებული აქციები
5130	გამოსყიდული საკუთარი აქციები
5140	საემისიო კაპიტალი

5200 დამფუძნებლების კაპიტალი (შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის არმქონე საზოგადოებები)

5210	დამფუძნებლების კაპიტალი
------	-------------------------



5300 მოგება/ზარალი

5310	გაუნაწილებელი მოგება
5320	აკუმულირებული ზარალი
5330	საანგარიშგები პერიოდის მოგება/ზარალი

5400 რეზერვები და დაფინანსება

5410	სარეზერვო კაპიტალი
5420	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი
5430	გრძელვადიანი ინვესტიციების გადაფასების რეზერვი
5440	მიზნობრივი დაფინანსება
5490	სხვა რეზერვები

6000 სამეწარმეო შემოსავლები

6100 სამეწარმეო შემოსავლები

6110	შემოსავალი რეალიზაციიდან
6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება
6130	სხვა სამეწარმეო შემოსავლები

7000 სამეწარმეო ხარჯები

7100 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (პროდუქციის შვარამბოები და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის)

7110	ძირითადი მასალების დანახარჯები (შეძენა)
7120	პირდაპირი ხელფასი
7130	სოციალური დანარიცხები (პირდაპირ ხელფასზე)
7140	დამხმარე მასალების დანახარჯები (შეძენა)
7150	არაპირდაპირი ხელფასი
7160	სოციალური დანარიცხები (არაპირდაპირ ხელფასზე)
7170	ცვეთა და ამორტიზაცია
7180	რემონტის დანახარჯები
7190	სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება

7200 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმოებისათვის)

7210	საქონელი (შეძენა)
7220	შექმნილი საქონლის უკან დაბრუნება (ფასდათმობა)
7290	სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება

7300 მიწოდების ხარჯები

7310	რეკლამის ხარჯები
7320	შრომის ანაზღაურება, საკომისიო
7330	შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები
7390	სხვა მიწოდების ხარჯები

7400 მიწოდების ხარჯები

7405	საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები
7410	შრომის ანაზღაურება
7415	სოციალური დანარიცხები
7420	საიჯარო ქირა
7425	სხვა სავადასახლო ხარჯი
7430	საოფისე ინვენტარი
7435	კომუნიკაციის ხარჯები
7440	დაზღვევა
7445	რემონტი
7450	კომპიუტერის ხარჯები
7455	საკონსულტაციო ხარჯები
7460	ცვეთა და ამორტიზაცია

8000 არასამეწარმეო შემოსავლები და ხარჯები

8100 არასამეწარმეო შემოსავლები

8110	საპროცენტო შემოსავლები
8120	დივიდენდები
8130	მოგება არასამეწარმეო საქმიანობიდან
8190	სხვა არასამეწარმეო შემოსავალი



8200 არასამეწარმეო ხარჯები

8210	საპროცენტო ხარჯები
8220	ზარალი არასამეწარმეო საქმიანობიდან
8290	სხვა არასამეწარმეო ხარჯები

9000 გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ხარჯები

9100 გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ხარჯები

9110	გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ხარჯები
------	--

9200 მოგების გადასახადი

9210	მოგების გადასახადი
------	--------------------

კველი ანგარიშების რეკლამისთვის ახალი გეგმის მიხედვით

№	გამომცემელი ანგარიშის დასახელება	კლასიფიკაცია	№	ახალი ანგარიშების დასახელება
01	ძირითადი საშუალებები	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
01.01	მიწის ნაკვეთი	აქტივი	2110	მიწის ნაკვეთი
01.02	შენიშნა-ნაგებობები	აქტივი	2130/2140	შენიშნა-ნაგებობები
01.03	მანქანა-დანადგარები	აქტივი	2150	მანქანა-დანადგარები
01.04	ტრანსპორტი	აქტივი	2180	ტრანსპორტი
01.05	ავეჯი და სხვა ინვენტარი	აქტივი	2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი
02	დაგროვილი ცეფთა	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
02.02	დაგროვილი ცეფთა, შენობა-ნაგებობები	ვალდებულება	2230/2240	შენიშნის ცეფთა, ნაგებობების ცეფთა
02.03	დაგროვილი ცეფთა, მანქანა-დანადგარები	ვალდებულება	2250	მანქანა-დანადგარების ცეფთა
02.04	დაგროვილი ცეფთა, ტრანსპორტი	ვალდებულება	2280	ტრანსპორტის ცეფთა
02.05	დაგროვილი ცეფთა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	ვალდებულება	2270	ავეჯი და სხვა ინვენტარის ცეფთა
04	არამატერიალური აქტივები	აქტივი	2500	არამატერიალური აქტივები
05	არამატერიალური აქტივების ცეფთა	ვალდებულება	2600	არამატერიალური აქტივების ცეფთა
06	გრძელვადიანი ფინანსური დასაზღვრები	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
06.01	პი და აქციები	აქტივი	24_0/2420	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა / სახელმწიფო ფასთან ქაღალდებში
06.03	მოკლული სესხები	აქტივი	2430	მინარაღების სესხა საზოგადოებებში
07	დასაფუძელი მოწყობილობა	აქტივი	2121	სინთეზური ანგარიშები ახალ ანგარიშთა გეგმაში
07.01	სამაშელო დასაფუძელი მოწყობილობა	აქტივი	2121	დასაფუძელი მოწყობილობა
07.02	იმპორტული დასაფუძელი მოწყობილობა	აქტივი	2121	დასაფუძელი მოწყობილობა
08	კაპიტალური დასაზღვრები	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
08.01	შენებლობა და ძირითადი საშუალებების შეძენა	აქტივი	2120	დაუმთავრებელი შენებლობა
10	მასალები	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
10.01	წილდელი და მასალები	აქტივი	1620	წილდელი და მასალები
12	მყოფსაინი სწრაფვეთილი საგნები	აქტივი		ანალიზი
13	მყოფსაინი სწრაფვეთილი საგნების ცეფთა	არ გამოიყენება		
14	მატერიალური ფასეულობების ვადაფასება	ხარჯი	719 0/7290	სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება
19	გადახდილი დღე	აქტივი	3340	გადახდილი დღე
20	ძირითადი წარმოება	აქტივი	1630	დაუმთავრებელი წარმოება
23	დამხმარე წარმოება	აქტივი	1631	
26	საერთო-სამეურნეო ხარჯები	ხარჯი	7400	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
31	მიმდევლი პერიოდის ხარჯები	აქტივი	1790/1910	სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები / სხვა მიმდინარე აქტივები
40.01	შხა პროდუქცია	აქტივი	1640	შხა პროდუქცია
43	კომერციული ხარჯები	ხარჯი	7300	მიწოდების ხარჯი

44	მიმოქცევის ხარჯი	ხარჯი	7300	მიწოდების ხარჯი
46	პროდუქციის, საემბლაჟოს, მომსახურების რეალიზაცია	ემბოსავალი	6410	ემბოსავალი რეალიზაციიდან
47	ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და სხვა ვასაგალი	ემბოსავალი	8130	მოგება არასამეწარმეო საქმიანობიდან
		ხარალი	8220	ხარალი არასამეწარმეო საქმიანობიდან
48	დანარჩენი აქტივების რეალიზაცია	ემბოსავალი	8130	მოგება არასამეწარმეო საქმიანობიდან
		ხარალი	8220	ხარალი არასამეწარმეო საქმიანობიდან
50	საქარი	აქტივი	1110/1120	ნაღდი ფული ერთეული / უცხოურ ვალუტაში
51	ანგარიშსწორების ანგარიში	აქტივი	1210	ერთეული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
52	სავალუტო ანგარიში	აქტივი	1220/1230	უცხოური ვალუტა რეზიდენტ / არარეზიდენტ ბანკში
58	მოკლევადიანი ფინანსური დახანდელები	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
58.01	ობოლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები	აქტივი	1310/1320	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა / სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
58.03	ვაკუბული სესხები	აქტივი	1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები
60	ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოყარებულთან	ვალდებულება	3110	მიწოდებლიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
61	ანგარიშსწორება ვაკუბული ავანსებით	აქტივი	1480	მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები
62	ანგარიშსწორება მყიდველებთან და შემკვეთებთან	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
62.01	ანგარიშსწორებანი ინკასოს წესით	აქტივი	1400	მოკლევადიანი მოთხოვნები
62.03	მიღებული თამასუტები		1500	მოკლევადიანი სათამასუტო მოთხოვნები
		აქტივი	2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუტები
64	ანგარიშსწორებანი მიღებული ავანსებით	ვალდებულება	3120	მიღებული ავანსები
67	ანგარიშსწორებანი ბიუჯეტარემე გადასახადებით	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
67.01	საგზაო ფონდი	ვალდებულება	3381	საგზაო ფონდი
67.02	დასაქმების ფონდი	ვალდებულება	3398	დასაქმების ფონდი
67.03	სხვა ფონდები	ვალდებულება	3390	სხვა ფონდები
67.04	ავტორტრანსპორტის შესაკეთის გადასახადი	ვალდებულება	3395	ავტორტრანსპორტის შესაკეთის
68	ანგარიშსწორება ბიუჯეტთან	არ გამოიყენება		სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
68	ანგარიშსწორება მოგების გადასახადით	ვალდებულება	3315/3310	გადასახდელი მოგების გადასახადი
68	გადასახდელი დღე	ვალდებულება	3330	გადასახდელი დღე
68	მიწის გადასახადი	ვალდებულება	3392	მიწის გადასახადი
68	ჭონების გადასახადი	ვალდებულება	3391	ჭონების გადასახადი
68.01	გადასახადი ემპორტზე	ვალდებულება	3360	აქციები ემპორტზე
68.01	გადასახადი იმპორტზე	ვალდებულება	3350	აქციები იმპორტზე
98.01	სამშრომლო გადასახადი ფიზიკურ პირებზე	ვალდებულება	3320	სამშრომლო გადასახადი ფიზიკურ პირებზე (ხელფასთან დაკავშირებული)
68.01	სხვა გადასახადები	ვალდებულება	3390	სხვა გადასახადები
69	სოც. უზრუნველყოფის გადასახადი	ვალდებულება	3370	სოც. უზრუნველყოფის გადასახადი

69.01	საქმიანობა დაზღვევის გადასახადი	ვალდებულება	3371	საქმიანობა დაზღვევის გადასახადი
69.02	გადასახადი საპენსიო უზრუნველყოფის ფონდში	ვალდებულება	3372	გადასახადი საპენსიო უზრუნველყოფის ფონდში
71	ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან	აქტივი ან ვალდებულება	1430	დებიტორული დავალიანება თანამშრომლებთან
75	ანგარიშსწორება დამკვეთებთან	არ გამოიყენება	3160	კრედიტორული დავალიანება თანამშრომლებთან
75	ანგარიშსწორება საწესდებო ფონდში შენატანზე	აქტივი	1460	სინთეზური ანგარიშები არ გამოიყენება ახალ ანგარიშთა გეგმაში
75	ანგარიშვალდებულება დამკვეთებთან	ვალდებულება	3420	დებიტორული დავალიანება დამკვეთებთან
76	ანგარიშსწორება დებიტორებთან და კრედიტორებთან	აქტივი ან ვალდებულება	3190/3400 3110/1430/1440 1490	გადასახდელი დივიდენდები
78	ანგარიშსწორება შეიღობილ საწარმოებთან	არ გამოიყენება		შემდეგი ანგარიშები გადახდესზე
78	ანგარიშსწორება შეიღობილ საწარმოებთან	აქტივი ან ვალდებულება	1420/3170	მოთხოვნები მკაცვრე საწარმოების მიმართ გადასახდლები მკაცვრე საწარმოებისათვის
78	ანგარიშსწორება მკაცვრე საწარმოებთან	არ გამოიყენება		
80	მოგება-ზარალი	კაპიტალი	5330	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი
81	გამოყენებული მოგება	არ გამოიყენება		
82	ანარიცხები საეკვიპო მოთხოვნებზე	აქტივები	1415	გამოყენებული საეკვიპო მოთხოვნები
85	საწესდებო ფონდი (კაპიტალი)	კაპიტალი	5115/5210	საწესდებო ფონდი (კაპიტალი)
86	სარეზერვო ფონდი	კაპიტალი	5410/5240	სარეზერვო კაპიტალი
87	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	კაპიტალი	5310/5320	გაუნაწილებელი მოგება აკუმულირებული ზარალი
89	ანარიცხები მოსალოდნელი ხარჯებისათვის და გადასახდლებისათვის	კაპიტალი	5310	გაუნაწილებელი მოგება
89.01	სარეზერვო ფონდი	არ გამოიყენება		
89.02	მივლინების ფონდი	ვალდებულება	3135	მივლინების ფონდი
90	ბანკის მოკლევადიანი სესხი	ვალდებულება	3210	მოკლევადიანი სესხები
92	ბანკის გრძელვადიანი კრედიტები	ვალდებულება	3230/4140	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი / გრძელვადიანი სესხები
94	მოკლევადიანი სესხები	ვალდებულება	3210	მოკლევადიანი სესხები
95	გრძელვადიანი სესხები	ვალდებულება	4100/3230	სხვა გრძელვადიანი სესხები

ბალანსის ტიპური ფორმა

	სანგარიშგებო პერიოდის გახნისას	სანგარიშგებო პერიოდის დახურვისას
<b>აქტივები</b>		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	1100/1200	
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300	
დებიტორული დავალიანება	1400/1500	
მარაგები	1600	
ავანსად გაწეული ხარჯი	1700	
სხვა მიმდინარე აქტივები	1800/1900	
მოლიანი მიმდინარე აქტივები	1000	
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება	2100	
დარიცხული ამორტიზაცია	2200	
ძირითადი საშუალებების სუფთა ღირებულება	2100-2200	
გრძელვადიანი დებიტორული დავალიანება	2300	
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	
არამატერიალური აქტივები		
გამოკლებული დარიცხული ამორტიზაცია	2500-2600	
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
მოლიანი გრძელვადიანი აქტივები	2000	
მოლიანი აქტივები	1000+2000	

ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი

პალატა ულამაძე		
მიმდინარე ვალდებულებები		
მიმდინარე კრედიტორული დავალიანება	3100	
მოკლევადიანი ვალდებულება	3200	
საგადასახადო დავალიანება	3300	
დარიცხული ვალდებულებები	3400	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		
მილიანი მიმდინარე ვალდებულებები	3000	
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100	
გრძელვადიანი გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4200+4300+4400	
მილიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	4000	
მილიანი ვალდებულებები	3000+4000	

ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი სახსრების შემოდინება კლიენტებისაგან  
 მომწოდებლისადმი გადახდილი ფულადი სახსრები  
 თანამშრომლებისადმი გადახდილი ფულადი სახსრები  
 სხვა საოპერაციო ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები  
 გადახდილი პროცენტები  
 გადახდილი მოგების გადასახადი  
 გადახდილი დივიდენდები\*

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა  
 ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები  
 მიღებული პროცენტები  
 მიღებული დივიდენდები

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

მფლობელთა კაპიტალი		
ჩვეულებრივი აქციები	5110	
პრევილიგირებული აქციები	5120	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	5130	
საემისიო კაპიტალი	5140	
გაუნაწილებელი მოგება/კუმულირებული ზარალი	5310/5320	
სარეზერვო კაპიტალი	5410	
აქტიუთა გადაფასების კორექტირება	5420+5430	
სხვა რეზერვები	5440+5490	
მილიანი მფლობელთა კაპიტალი	5000	
მილიანი ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი	3000+4000+5000	

\* ეს მუხლი შეიძლება მივაკუთვნოთ ფულადი სახსრების ნაკადს ფინანსური საქმიანობიდან

**ფულადი სახსრების ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან**

აქციების გამოშვებიდან მიღებული ფულადი სახსრები  
გრძელვადიანი სესხების სახით მიღებული ფულადი სახსრები  
საიჯარო ვალდებულებების დასაფარავად გადახდილი ფულადი  
სახსრები

**წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან**

**ფულადი სახსრების და ფულის ექვივალენტების წმინდა  
ცვლილება**

**ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები პერიოდის  
დასაწყისში**

**ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს**

**ბამ(ი)ყმნპ(ი) ლ(ი)ტმრატ(ი)რა**

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.
- "Sibley International" და "ბუღალტერთა და აუდიტორთა  
ფედერაციის" მიერ მომზადებული სასწავლო მასალები.
- "Intermediate Accounting", Kieso, Weigandt. მე-9 გამოცემა.